ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ევროპა გახურდა

სტატისტიკა, ფსონები

გვ.9




შაბათი – კვირა, 27 – 28 აგვისტო, 2016

№203 (7129)

ფასი: 50 თეთრი

# „სანდრა რულოვსს პრეზიდენტობისთვის ამზადებენ“



გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სააკაშვილი ბოკერიას აღარ ენდობა“





## თამაზ მეჭიაური ახალი კოალიციიდანაც წავიდა

გვ.2

„ლევან მამალაძე ძებნილია და მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს“




გვ.2

## დავით ნარმანიას საკრებულოში ნაჯახით დახვდნენ




## „ეს მთავრობა სააკაშვილს პიარს თვითონ უკეთებს“

გვ.4




„ხაინდრავას ფილმისთვის უნდა დაერქმია 9+1-3“




გვ.3

## სოსო მანჯავიძე: „ნარმანიას წინააღმდეგ ბრძოლა სინამდვილეში წინასაარჩევნო პიარია“

## ვალერი გელბახიანი: „ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ სპექტრს ალაგებს“

გვ.5




## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თანხის თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.2

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თამაზ მეჭიაური ახალი კოალიციიდანაც წავიდა

## „ლევან მამალაძე ძებნილია და მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს“

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურის აშკარად რესპუბლიკელების წყევლამ უწია. მის მიერ დაწყებული კამპანიის შედეგად კოალიცია „ქართული ოცნებიდან" ყველა სუბიექტი გაუშვეს. მათ მალე მეჭიაურიც მიჰყვა, რომელმაც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 2 კოალიცია დატოვა.**

ბიძინა ივანიშვილის თანაკურსელმა რამდენიმე თვის წინ შექმნა თავისი პარტია, რომელიც თავიდან დამოუკიდებლად აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას, შემდეგ კი რამდენიმე პარტიასთან ერთად კოალიცია შექმნა. ეს კოალიცია გასულ კვირას ჩამოეშალა, რადგან მეჭიაურმა კიდევ სხვა პარტიებთან დაიწყო კოალიციის შექმნაზე საუბარი.



გასულ კვირას მეჭიაურმა კოალიცია შექმნა პარტიებთან „სახალხო ხელისუფლება“ და „ჩვენი სამშობლო“. 25 აგვისტოს ამ კოალიციის გამგეობის სხდომა გაიმართა, სადაც პარტიებმა განშორება გადაწყვიტეს.

მისი თქმით, გამგეობის სხდომაზე სამომავლო გეგმები უნდა განეხილათ და ერთგვარი „საბრძოლო“ სტრატეგიაც შეემუშავებინათ, თუმცა, კონკრეტული მიზეზებისა და უთანხმოების გამო, გადაწყდა, რომ კოალიცია აღარ შეიქმნება.

– კოალიცია დაიშალა! ვაპირებდით სხვადასხვა საკითხის განხილვას, თუმცა, როდესაც ბოლოს ყველაფერს მოვუყარეთ თავი, ფაქტობრივად, აზრი აღარ ჰქონდა კოალიციის რეჟიმში არჩევნებში მონაწილეობას. ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტია, რომელიც თავდაპირველად იქნა კოალიციაში შემოსული ჩვენი მაშინდელი პარტნიორების მიერ, უნდა გადაფორმებულიყო ჩვენს ყოფილ თანაპარტიელებზე. შემდეგ რატომღაც გაჭირდა გადაფორმება. ამას მოჰყვა ვნებათაღელვა, სხვადასხვა კომენტარი, რომ ეს პარტია იყო ლევან მამალაძის მიერ მართული, – აცხადებს რეპორტიორთან საუბარში მეჭიაური.

ის ამბობს, რომ თავიდანვე იცოდა, ამ პარტიას მხარს მამალაძე რომ უჭერდა. მისი უკმაყოფილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მამალაძეს პარტიის მართვის სურვილი ჰქონდა.

დეპუტატს კოალიციიდან წამოსვლა ერთმა სატელეფონო ზარმა გადააწყვეტინა. ზარი ლევან მამალაძის მიერ განხორციელდა.

– ლევან მამალაძე არის ძებნილი, რომელსაც, ზუსტად არ ვიცი, რამდენი წელი აქვს მისჯილი, იმყოფება სხვა ქვეყანაში და მას არ აქვს უფლება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. მამალაძემ პირადად დარეკა ჩემთან და, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ არათუ ერთ პარტიას („სახალხო ხელისუფლება“), მეორე პარტიასაც ის მართავს. მე არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ყველაფერი, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თვითონ ამაზე პრეტენზია აქვს. გამოდიოდა, რომ პარტიები „ჩემი სამშობლო“ და „სახალხო ხელისუფლება“ – ორივე მისია და მის მიერ არის მართული. თუ ვინმეს სურვილი აქვს, შეუძლია, ამოიღოს სატელეფონო ჩანაწერი, – ამბობს დეპუტატი.

მისი თქმით, დაუშვებელია, კოალიცია იმ ადამიანმა მართოს, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული.

– შესაძლოა, მასზე არასწორად გამოაცხადეს ძებნა, მაგრამ ეს პიროვნება არის ძებნილი. მას პრეტენზია აქვს, აქტიურად ჩაერიოს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მართოს კოალიცია. ეს, რა თქმა უნდა, ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ უკვე ვასოცირდებოდით ლევან მამალაძესთან. ამის გამო გვიწევდა თავის მართლება. სამწუხაროდ, ეს პრეტენზიები უსაფუძვლო არ არის, ამიტომ გადავწყვიტეთ, გავთავისუფლდეთ ყველასგან. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, – აღნიშნავს მეჭიაური.

დეპუტატი ამბობს, რომ მას არ სურს, პრორუსულად ითვლებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას უჭერს მხარს.

– ჩვენ გვიკავია პროქართული ნიშა. ჩვენთვის მთავარია ეროვნული ინტერესები, – აცხადებს ივანიშვილის კურსელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მან ერთ კვირაში ორი კოალიცია უარყო, გამორიცხული არ არის, მესამედაც ცადოს ბედი. ამ ეტაპზე მას დამოუკიდებლად სურს არჩევნებში მონაწილეობა.

– ვფიქრობ, არჩევნებში ცალკე მივიღებთ მონაწილეობას. ეს არის რთული გზა, მაგრამ დალაგდება ყველაფერი. არის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც ორიენტირებულია პროდასავლურ ღირებულებებზე. ესენი არიან „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა, სხვადასხვა „გირჩები“ და ა.შ. ასევე იქნება პრორუსული პარტიები, რომლებიც იქნებიან გარედან მართული... და იქნებიან ეროვნული ძალები, ორიენტირებულნი ჩვენი ხალხის ნდობასა და ქვეყნის ინტერესებზე, ყოველგვარი გარედან მოხვეული დაფინანსებისა და შეკვეთილი გადაწყვეტილებების გარეშე, – განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავკაცმა.

ამ კოალიციაში შესვლის გამო მეჭიაურს პარტიიდან რამდენიმე კაცი (ქალიც) გაექცა. საინტერესოა, დაუბრუნდებიან თუ არა ახლა ისინი ეულად დარჩენილ პარტიას.

# დავით ნარმანიას საკრებულოში ნაჯახით დახვდნენ

**26 აგვისტოს თბილისის მერი, დავით ნარმანია საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.**

მისი თქმით, დავით ნარმანიამ შეარცხვინა თბილისი, ხოლო ნაჯახი არის ნარმანიას მერობის სიმბოლო, იმიტომ, რომ სწორედ მისი ბრძანებით გაიჩეხა ხეები.

– მერიაში არის კორუფცია და





ნარმანიას საკრებულოში ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ჟურნალისტებს დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრის დამფუძნებელ გივი კუბლაშვილად გაეცნო, პლასტმასის ნაჯახით დახვდა და მერს მიმართა, რომ ეს ნაჯახი მისი მერობის სიმბოლო იყო.

ამის ნათელი მაგალითი ბევრი ვიხილეთ, რაც იმაში გამოიხატა, რომ თბილისის მერიის მრავალი თანამდებობის პირი სწორედ კორუფციის ბრალდებით დააკავეს, – განაცხადა მან.

ნარმანიამ გამოსვლის დასაწყისში თხოვნით მიმართა საზოგადოებას, რომ მაქსიმალურად კონსტრუქციულები ყოფილიყვნენ.

როგორც ნარმანიამ აღნიშნა, მერიამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ქალაქის ისტორიაში არ ყოფილა და ეს არის გარემოსდაცვითი სტრატეგია.

მისივე თქმით, მასობრივი გამწვანების ღონისძიების ფარგლებში, 560 ათასი ხე დაირგო, ხოლო შემოდგომაზე დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე 79 ათასი ხე დაირგვება.

ჩვენი დარგული ხეების დაახლოების 80%-ზე მეტმა გაიხარა, – განაცხადა ნარმანიამ.

როგორც საკრებულოს დეპუტატების კითხვებზე პასუხისას ნარმანიამ აღნიშნა, მსოფლიოში არსად არსებობს ხეების 100%-იანი გახარების მაჩვენებელი.

– სადაც ხეების გახარება ვერ ხდება, ჩვენ ვახდენთ მის ჩანაცვლებას, – განაცხადა ნარმანიამ.

ნარმანიას მტკიცებით, დასრულდა რამდენიმე სკვერის აღდგენითი სამუშაოები, რომლის ფარგლებში დაირგო ხეები, ასევე, როგორც ნარმანიამ აღნიშნა, ხდება ხმობადი და დაავადებული ხეების ჩანაცვლება, რათა დაავადებულმა ხეებმა ზიანი არ გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ნარმანიას თქმით, შემუშავდა თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ დებულება. მერის განმარტებით, აღნიშნული სამსახური გარდაიქმნება გარემოს დაცვისა და მწვანე ინფრასტრუქტურის სამსახურად და მასში რამდენიმე განყოფილება შევა.





სამსახურის რეორგანიზაცია, მერის თქმით, სექტემბრიდან დაიწყება, ასევე სამომავლოდ გაიზრდება აღნიშნული სამსახურის ბიუჯეტი, რომელიც მიმართული იქნება გამწვანების ღონისძიებისკენ.

გარდა ამისა, საუბარია იმაზე, რომ მოხდეს ქალაქში ხეების მოჭრასთან დაკავშირებული საკითხების გამკაცრება.

მისივე თქმით, უნდა გამკაცრდეს როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის ზომები იმ შემთხვევისთვის, თუ შესაბამისი ნებართვის გარეშე ვინმე ამა თუ იმ ტერიტორიაზე შევა და ხეების ჭრას დაიწყებს.

თბილისის მერის განმარტებით, საექსპერტო დასკვნების მომზადება უნდა გახდეს კიდევ უფრო ღია, გამჭვირვალე და გადამოწმებული.

ყაზბეგის №22-ში ხეების მოჭრაზე საუბრისას, ნარმანიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გამოძიების დასრულებას დაველოდოთ, რასაც დამსწრე საზოგადოების უკმაყოფილება მოჰყვა.

სხდომას ესწრება ნაციონალური მოძრაობის წევრი ელენე ხოშტარია, რომელმაც მიმართა დავით ნარმანიას, თუ რატომ არ ახსენებდა იმ ადამიანებს, ვინც შიმშილობს.

ყაზბეგზე მოჭრილ ხეებზე საუბარმა გამოიწვია ცოტნე გამსახურდიას გაღიზიანება, რომელმაც მერს ხმამაღალი შეძახილებით მიმართა. ამის შემდეგ საკრებულოს სხდომა რამდენიმე წუთით შეწყდა.

– მოვითხოვე სიტყვის უფლება, თუმცა გამაძევეს დარბაზიდან, მოვითხოვე სიტყვის უფლება, თუმცა ეს უფლება არ მომცეს და გამაძევეს დარბაზიდან.

ამის შესახებ „პარტიზანი მებაღეობის“ წევრმა ირაკლი კუპრაძემ საკრებულოს სხდომიდან გაძევების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თანხის თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით თანხის თაღლითური გზით დაუფლების მცდელობის ფაქტზე მოქალაქე ვახტანგ წ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვახტანგ წ. პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა პირობითი სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებას, რის სანაცვლოდაც წინასწარ მოსთხოვა და გამოართვა 5000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. ბრალდებულს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სანდრა რულოვსს პრეზიდენტობისთვის ამზადებენ“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „სააკაშვილი ბოკერიას აღარ ენდობა“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ჩასვეს ნაციონალების საარჩევნო სიაში სანდრა რულოვსი, რა სცენარით განვითარდება მოვლენები არჩევნებამდე და მის შემდეგ, რა შანსები აქვს ხელისუფლებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ნაციონალები და მათი პატრონები სერიოზული პროცესებისთვის ემზადებიან. ამის ერთ-ერთი დასტურია ნაციონალების საარჩევნო სიაში სანდრა რულოვსის შეყვანა. აშკარაა, რომ სააკაშვილი გიგა ბოკერიასა და მის გუნდს აღარ ენდობა. მას უნდა, ყველაფერი საკუთარი მეუღლის დახმარებით აკონტროლოს. სანდრა რულოვსი საარჩევნო სიაში სხვა მიზეზითაც ჩაწერეს. მას პრეზიდენტობისთვის ამზადებენ.

2012 წლის არჩევნების შემდეგ დავით საყვარელიძეს წამოსცდა, ჩვენ კი არ დავიშალეთ, არამედ გავიშალეთო და ახლა გაშლილები აპირებენ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძის გამოჩენაც ნაციონალური პროექტი იყო. მაშინ მე „ახალ თაობასთან“ საუბარში ვთქვი, რომ ბურჭულაძე ყოფილი ხელისუფლების სატელიტ პარტიებთან შექმნიდა ალიანსს. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ამბავი ახდა.

ხელისუფლების შეცვლაში დიდ როლს ითამაშებს სოციოლოგიური კვლევები. მართალია, ბევრი ამბობს, რომ არ სჯერა ამ კვლევების, მაგრამ მათი დახმარებით მაინც შეიძლება ერთგვარი ფონის შექმნა. ბოლო კვლევებით, ნაციონალები დაეწივნენ „ოცნებას“. არჩევნების წინ გამოაქვეყნებენ კვლევას, რომლის მიხედვითაც ნაციონალური მოძრაობა გავა პირველ ადგილზე.

თუ არჩევნები მათთვის სასურველი შედეგით არ დასრულდება, დაიწყება აქციები და არეულობა. სახალხო დამცველი, პრეზიდენტი, არასამთავრობოები, რესპუბლიკელები, ალასანია, გირჩები, ციყვები და მათნაირები – ყველა ნაციონალების გვერდზე დადგება.

***– ეგენი შესაძლოა ერთ მხარეს დადგნენ, მაგრამ ხალხი რას იზამს?***

– ამ შემთხვევაში ხალხის აზრს არავინ გაითვალისწინებს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ერთი ქვეყნის საელჩოში გადაწყდება.

ხალხს რაც შეეხება, ნაციონალების მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებების მიერ მიდის ტვინების გამორეცხვა. ტელეეკრანებზე ძირითადად 50 კაცი ჩანს, რომლებიც ყველანაირად უწამლავენ ადამიანებს აზროვნებას.

აქციების დაწყების შემთხვევაში ნაციონალების მედიასაშუალებები 20 კაცს 20.000-ად წარმოაჩენენ. სოფელში მყოფმა ადამიანმა რა იცის, რუსთაველის გამზირზე რამდენი ადამიანი შეიკრიბა. ხალხს დიდი ძალა აქვს, მაგრამ ხშირად პროცესები მათი ნების წინააღმდეგ მიდის. გავიხსენოთ 1991-1992 წლების პუტჩი. კანონიერი ხელისუფლება სულ რაღაც 200-მა კაცმა დაამხო.

პრეზიდენტი მარგველაშვილი უკვე გადასულია მოწინააღმდეგის ბანაკში. თბილისში არა-



ერთი აქცია გამართულა, მაგრამ პრეზიდენტის წარმომადგენლებს არავინ მოუნახულებიათ. ასეულობით ათასმა ადამიანმა ხელი მოაწერა მოთხოვნას რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. მარგველაშვილმა არც მათი ნება გაითვალისწინა. სამაგიეროდ, ნარმანიას წინააღმდეგ დაწყებული აქციის მონაწილე მოინახულეს მისმა წარმომადგენლებმა ანა დოლიძემ და კახა კოჟორიძემ.

***– ამაში ცუდს რას ხედავთ?***

– ცუდი ისაა, რომ სხვა აქციებს პრეზიდენტი არ იმჩნევს, ახლა კი თავისი წარმომადგენლები გააგზავნა. ასე მოიქცევა არჩევნების შემდეგაც. ის შესაძლოა ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგებს ოფიციალურად შეუერთდეს.

პრეზიდენტი, მისი მრჩევლები და არასამთავრობოები არ იმჩნევენ, რომ ძებნილი სააკაშვილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ერევა. საქართველოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, ჩაერიონ აქაურ პოლიტიკურ პროცესებში. სააკაშვილი კი ვიდეომიმართვებს ავრცელებს და იმუქრება, რომ, როგორც 2003 წელს, ახლაც წალენჯიხიდან წამოვლენ ავტობუსებით. საქართველო ნორმალური ქვეყანა რომ იყოს, კარგა ხნის წინ უნდა მოეთხოვა უკრაინისთვის პასუხი.

***– პასუხი რაზე უნდა მოეთხოვა, სააკაშვილი ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს?***

– ამაზეც. სააკაშვილი არის სხვა ქვეყნის მაღალჩინოსანი და მას არა აქვს უფლება, ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში.

უკრაინა აცხადებს, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. ამ დროს პრეზიდენტმა პოროშენკომ საქართველოს მიერ ძებნილი სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა.

უკრაინის ახლანდელი გენერალური პროკურორი რამდენიმე წლის წინ ჩვენს მოსამართლეებს ემუქრებოდა. საუბარია იური ლუცენკოზე, რომელიც აქ ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესს ესწრებოდა. არც ლუცენკოსთვის მოუთხოვიათ პასუხი.

***– ლუცენკო მიჩვეული ქართველებზე მუქარას. იუშჩენკოს დროს მას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა და საქართველოს სავიზო რეჟიმის შემოღებით ემუქრებოდა. ამბობდა, ქართველები კრიმინალები არიანო.***

– სამაგიეროდ, ახლა ხუჭავს თვალებს იმაზე, რომ მათმა ხელისუფლებამ ქართველი ძებნილები დაასაქმა. სააკაშვილის გარდა, უკრაინის ხელისუფლებაში უამრავი ძებნილია დასაქმებული. ამის გამო საქართველოს ხელისუფლებამ უკრაინასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს.

***– თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, საქართველოს ხელისუფლება უკრაინასთან დიპლომატიურ ურთიერთობას თუ გაწყვეტს? პირველ რიგში გაიხსენებენ იმას, რომ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მხოლოდ უკრაინელები იბრძოდნენ ჩვენ მხარეს.***

– ძალიან დიდი მადლობა ამისთვის უკრაინელებს. საქართველომ მათ ამის გამო არაერთხელ გადაუხადა მადლობა. უკრაინელი ოფიცრები რუსეთის მხარესაც იბრძოდნენ და ბალტინიც წარმოშობით უკრაინელი იყო. ქართველები ახლა იბრძვიან უკრაინის მხარეს. ომის დაწყების შემდეგ საქართველომ უკრაინას დიდი დახმარება გაუწია. თავად უკრაინის ჯანდაცვის მინისტრმა კვიტაშვილმა თქვა, რომ მათ ყველაზე დიდი სამედიცინო დახმარება საქართველოდან მიიღეს. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას უკრაინელებს იმისათვის, რომ გვერდზე გვედგნენ 1992-1003 წლებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე თვალები უნდა დავხუჭოთ.

ხელისუფლებამ ასე თუ გააგრძელა, აქ უმართავი პროცესები დაიწყება. ნაციონალებს პროვოკაციის მოწყობა არ გაუჭირდებათ. ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. 1991 წლის 2 სექტემბრის აქციაზე ვიღაც გადაცმულმა გაისროლა და ამის შემდეგ მონათლეს გამსახურდია დიქტატორად. არ არის გამორიცხული, ახლაც იგივე მოხდეს. სააკაშვილი და ნაციონალები ყველაფერზე წავლენ, ძალაუფლება რომ დაიბრუნონ.

დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს ძალოვანი სტრუქტურები ჩანერგილებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ იგივე მოხდება, რაც ივლისში თურქეთში მოხდა.

***– სამხედრო გადატრიალებას გულისხმობთ?***

– სამხედრო გადატრიალებაზე ვსაუბრობ და არც ამის მოწყობაა საქართველოში რთული. თავდაცვის სამინისტროსა და პოლიციაში ბევრია ნაციონალების კადრი. საჭიროების შემთხვევაში ისინი აუცილებლად დაიწყებენ მოქმედებებს. ნაციონალებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად რამდენიმე გეგმა ექნებათ.

მინდა მივმართო ხელისუფლებას და მოვუწოდო, გააკეთოს ის, რაც ერდოღანმა გააკეთა თურქეთში. მან ყველა სასწავლო დაწესებულება, პოლიცია, ჯარი გაწმინდა იმ ხალხისგან, რომლებსაც იმ არშემდგარ გადატრიალებასთან ჰქონდათ რაიმე კავშირი. გადატრიალების მცდელობის უკან გიულენი იდგა, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. თურქეთი ამერიკას დაემუქრა. ერდოღანმა თქვა, რომ ამერიკა მანამდე არ ჩაითვლება მათ მეგობრად, სანამ გიულენს არ გადმოსცემენ.



### „არჩევნების შემდეგ მარგველაშვილი ნაციონალების მხარეს გადავა“

***– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამერიკას დაემუქროს?***

– ამას არ ვითხოვ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება უნდა შეეშვას სხვისი კარნახით მოქმედებას და გადამჭრელი ზომები მიიღოს. საქართველოში ხალხს ნაციონალები ეზიზღება, მაგრამ იმის იმედი ტყუილად აქვს ხელისუფლებას, რომ ხალხი, როგორც თურქეთში მოხდა, ტანკებს დაუწვება. ტანკების გამოყვანა რომ არ მოხდეს, ამისთვის სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს ყველა სტრუქტურა.

ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, ვიღაცების მოთხოვნას აჰყვა და ლადო ბედუკაძეს დაცვა მოუხსნა. არავის უნდა დაავიწყდეს, რომ მის მიერ გამოტანილმა კადრებმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი 2012 წელს. სწორედ ამ კადრების გამო იყო, რომ დასავლეთმა ვეღარ დაუჭირა მხარი ნაციონალებს. ბედუკაძისთვის დაცვის მოხსნით „ქართულმა ოცნებამ“ ბევრ მხარდამჭერს გაუცრუა იმედი. ყველა იტყვის, „ოცნებასთან“ რომ ვითანამშრომლო და მისთვის თავი გავწირო, ვინ დამიცავსო.

# სოსო მანჯავიძე: „ნარმანიას წინააღმდეგ ბრძოლა სინამდვილეში წინასაარჩევნო პიარია“

## „ოცნებაში“ გადმოსული ყოფილი ნაციონალები შეიძლება ისევ ნაცმოძრაობას შეეკრან“

მარიამ მჭედლიშვილი

**პრემიერი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ქორწინების შესახებ განმარტების საკითხს მომავალი პარლამენტი მიუბრუნდება. ამისათვის საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ 113 ხმაა საჭირო. ასეთ უმრავლესობას „ქართული ოცნება" ვერ მოიპოვებს. მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის წევრები პრემიერ-მინისტრის პოზიციას მიესალმებიან. ამასთან, საინიციატივო ჯგუფის წევრი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი სოსო მანჯავიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში გამოთქვამს ვარაუდს, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობას შექმნიან სხვა ძალები. ეს პარტიები არ ეთანხმებიან იმას, რომ ქორწინების დეფინიცია ქალსა და კაცს შორის ერთობაა.**

**სოსო მანჯავიძე:**

– არარეალისტურად მიმაჩნია „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება. მეორე მხრივ, ვერ გავამტყუნებ პრემიერს, რომელსაც იმედი აქვს, რომ ამ საკითხზე პარლამენტში მოხერხდება საჭირო ხმების მოგროვება და კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის გაკეთება. არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს ის, რომ გიორგი კვირიკაშვილისთვის სულ ერთი არ არის 200 000-ზე მეტი თანამოქალაქის პოზიცია. საზოგადოებამ თავისი ხელმოწერებით მოითხოვა ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის გამართვა. პრეზიდენტმა რეფერენდუმი არ დანიშნა. პრემიერი ამ თემას გულისყურით მოეკიდა.. ის მომხრეა, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს ხალხის მოთხოვნა.

***– თუმცა, ძნელია იმის თქმა, ვინ შექმნის უმრავლესობას მომავალ პარლამენტში..***

– მართლაც, შეიძლება უმრავლესობა იმ ძალებმა შექმნან, რომლებიც არ ეთანხმებიან ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმარტებას. ამ ძალებს ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონების სურვილი აქვთ. ასეთი გეგმები არსებობს. ხელთ მაქვს ერთ-ერთი ბოლო შიდა კვლევის მონაცემები. ამ ახალი კვლევებით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი 28 %-ია, ნაცმოძრაობისა-18%. დაახლოებით 6% აქვს ბურჭულაძის გაერთიანებას. ბარიერის გადალახვის ზღვარზე იმყოფებიან თავისუფალი





დემოკრატები და პატრიოტთა ალიანსი.

***– ამ მონაცემებს ბევრი არ დაეთანხმება.***

– ალბათ, გაკვირვებას გამოიწვევს ნაცმოძრაობის 18%. ნაციონალების რეიტინგი გაიზარდა აჭარისა და სამეგრელოს ხარჯზე. აქტიურობა ამ რეგიონებში უკვე აისახა რეპუტაციაშელახული პარტიის რეიტინგზე. პაატა ბურჭულაძეზე ბევრი მაკომპრომეტირებელი მასალა გა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ნონა ცაბაძე

# „ეს მთავრობა სააკაშვილს პიარს თვითონ უკეთებს“

## „ხაინდრავას ფილმისთვის უნდა დაერქმია 9+1-3“

**„ახალი თაობის" შეკითხვებს ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***— რუსი სამხედროები გორის სოფლებში გლეხების მოსავალს იტაცებენ. ეს ხომ არ არის პროვოკაცია რუსული მხარის მხრიდან? უკვე ისმის შეფასებები, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიტუაცია სულ უფრო დაიძაბება.***

— ვინც ასე ფიქრობს, გადაჭარბებული შეფასება აქვს რუს სამხედროებზე. ის, რომ მოსავალს ართმევენ ჩვენს მოსახლეობას, ნიშნავს იმას, რომ ისინი მათხოვრებად ცხოვრობენ და საჭმელი არა აქვთ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ეს არის დიდი სტრატეგია, რომელიც დაიწერა კრემლში და ამაზე მუშაობდნენ პოლიტოლოგები და ეკონომისტები, ასე არ იქნება.

***— აბა რა ჰქვია ამას?***

— უბრალოდ, შიათ, მიშვებულები არიან თავიანთ ნებაზე, თავის თავი როგორღაც თვითონ უნდა გამოკვებონ. ისინი იტაცებენ ჩვენს მოსახლეობას და შემდეგ ართმევენ გამოსასყიდს, ხან ართმევენ მოსავალს. ისინი ცხოვრობენ ძალიან ცუდ პირობებში და გაშვებულები არიან ნადავლის საძებნელად. ასე ცხოვრობს ყველა რუსი სამხედრო.

***— ანუ ეს არ არის რუსეთის მხრიდან ახალი პროვოკაციის მცდელობა?***

— არა. იქ არავინ ზის და არ წერს კონცეფციას, რომელ თვეში როგორ მოექცეს კონფლიქტის ზონის მოსახლეობას. ეს ყველაფერი ხდება სპონტანურად.

***— ამით მოსახლეობა ზარალდება და ამაზე ხელისუფლება დუმს.***

— ეს ნამდვილად სხვა ამბავია. ხელისუფლება ხმას ვერ იღებს, ეშინია ყველაფერზე რეაგირება. ხელისუფლებას მიშვებული აქვს ეს ამბავი, ეშინია, არიქა, რუსეთი არ გავაღიზიანოო. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთს დაანახოს — მე არაფერში ხელს არ გიშლი და ოღონდაც, შენი ჭირიმე, აღარ დამარტყა. ეს არის ჩვენი ხელისუფლების პოზიცია.

***— რამდენად შეიძლება შორს წავიდეს ეს პროცესი?***



— მოსავლის წართმევის და გატაცებების გარდა თუ რამე ახალს მოიგონებენ რუსები, მე არ ვიცი. შეიძლება მალე საქონელიც გადარეკონ და ასე შემდეგ.

***— ითქვა ისიც, რუსეთის მხრიდან წინასაარჩევნოდ დესტრუქციული ქმედებები იგეგმებაო. ამაზე რას ფიქრობთ?***

— წინასაარჩევნოდ ალბათ გამართავენ სამხედრო მანევრებს, ყოველი შემთხვევისთვის ალბათ დაგვანახებენ, რომ ჩვენ აქა ვართ და რამე რომ იყოს, შემოვვარდებით თბილისში. ამას რამდენად გააკეთებენ, არ ვიცი. ოთხი წლის წინ ძალიან სჭირდებოდათ სააკაშვილის თავიდან მოშორება და მაშინ აკეთებდნენ ყველაფერს, რათა დაენახებინათ სააკაშვილისთვის, რომ ჩვენ შემოვვარდებით თბილისში, რამე რომ იყოს. „ოცნების“ გაცურება ნამდვილად არ სჭირდებათ ისე, როგორც სააკაშვილის გაცურება სჭირდებოდათ. არა მგონია, რომ განსაკუთრებული აგრესიული რიტორიკა და სამხედრო მანევრები წამოვიდეს ოქტომბრისთვის.

***— თქვენ სააკაშვილი ახსენეთ და ხელისუფლება მისგან მომდინარე საფრთხეებზე დღემდე საუბრობს. თუნდაც ეს აღკვეთილი ტერაქტი, ითქვა, რომ კვალი უკრაინისკენ მიდის. ამაზე რას იტყვით?***

— ეს იყო აშკარად გათამაშებული.

***— რა იყო გათამაშებული?***

— უბრალოდ, კითხვაზე უპასუხეს, ერთი კაცი უკრაინაში დადიოდაო და მე როგორც ვნახე, ამის იქით არაფერი მომხდარა. ჯერჯერობით ეს ამბავი მიჩუმათებულია.

***— ასე უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ?***

— ვერ გეტყვით, რა უნდოდათ, თვითონ ყველაზე უფრო დიდ სისულელედ და შეცდომად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ მაშინვე გამოაცხადეს ეს ამბავი ტერაქტად. ეს არ იყო ტერაქტის მცდელობა.

***— აბა რა იყო?***

— ეს იყო დივერსიის მცდელობა. გაზსადენი როცა აფეთქდა რამდენჯერმე, ყოველთვის დივერსიად შეფასდა და ამათ უცებ ტერაქტად გამოაცხადეს. რატომ? საინტერესოა. შეიძლება ეს ამბავი უნდოდათ შეეტენათ სააკაშვილისთვის და ჯობია შეტენო ტერაქტი, ვიდრე დივერსია.

***— თქვენ ტერაქტის მცდელობის ნიშნები ვერ დაინახეთ?***

— ტერაქტს სჭირდება ჯგუფი, რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები, იდეოლოგია და ცდილობს მოსახლეობის დაშინებას, დატერორებას და ასე შემდეგ. როცა საუბარი მიდის გაზსადენის აფეთქებაზე, ამას დღემდე ეძახდნენ დივერსიას.

***— რამდენად ელოდებით სიტუაციის დაძაბვას წინასაარჩევნოდ?***

— სამწუხაროდ, ველოდები დაძაბულ ვითარებას, იმიტომ, რომ ეს ქართულ ტრადიციად იქცა, არჩევნები სამოქალაქო ომს ემსგავსება. მთავრობას თუ ჭკუა აქვს, უნდა ეცადოს, რომ დაძაბულობა თავიდან აიცილოს, რადგან ნებისმიერი დაძაბულობა, რომელიც მან გამოიწვია, დაამთავრა კატასტროფულად. ეს ხელისუფლება კრიზისების და დაძაბულობის დროს ცუდად მუშაობს. ნებისმიერი კრიზისის დროს ძალიან უჭირს, არადა დიდი ხანია შექმნილია კრიზისების საბჭო.

***— ასევე ახალი კომპრომატების ომს უნდა ველოდოთო. გოგა ხაინდრავას ფილმია მზად.***

— ფილმს გაუშვებენ ალბათ. მე რასაც ვუყურე, ეს არის უნიჭო და პათეტიკური ფილმი. ამ ფილმმა რა მიზანს უნდა მიაღწიოს? რომ უფრო მეტ ხალხს შესძულდეს სააკაშვილი? სააკაშვილი ხალხის ნაწილს ისედაც სძულს. ამ ფილმმა გავლენა უნდა მოახდინოს ნეიტრალურ მოსახლეობაზე, მათზე კი გავლენს ვერ მოახდენს, იმიტომ, რომ ძალიან უნიჭო ფილმია. ეს არის წყალში გადაყრილი მილიონები. ხოლო ეს მილიონები ვისია, ყველამ კარგად ვიცით.

***— სწორედ იმ კაცს უცხოელი პიარშიკები ურჩევენ, ფილმი საერთოდ არ გაუშვანო.***

— როგორც ჩანს, მათ ეს ფილმი მთლიანად ნახეს, არა მხოლოდ ტრეილერი და ალბათ რეაქცია ისეთი ჰქონდათ, როგორც ადამიანების უმრავლესობას, რომ ეს არის უნიჭობა! სააკაშვილზე უკვე მესამე ფილმი გადაიღეს და ყველა საშინელება იყო. თვითონ ქმნიან ამ მითებს, თვითონ იღებენ ფილმებს და მერე უკვირთ, რატომაა სააკაშვილი ასეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. არ ეშვებიან, დაანებონ თავი რა!

***— თვითონვე უკეთებენ პიარს?***

— დიახ, ასეა. შეიძლება ხალხს იმდენად აერიოს გული ამ ფილმზე, რომ სააკაშვილმა მეტი პოპულარობა შეიძინოს. მაგალითად, როდესაც მე ვუყურე აგვისტოს ომს, რომელიც გადაღებული იყო იმაზე, რომ საქართველო არაფერ შუაში იყო და ომი რუსეთმა დაიწყო, ის იმდენად უნიჭო იყო, რომ უკან შემოგვიტრიალდა. აქაც იგივე მოხდება.

***— გოგა ხაინდრავამ გააცრუა ბიძინა ივანიშვილის იმედები?***

— ხაინდრავა როდის იყო დიდი რეჟისორი?! მოდით, მორალსაც შევხედოთ, ხაინდრავა სამი წელი იყო სააკაშვილის მთავრობაში მინისტრი და 9+1 არ უნდა დაერქმია. უნდა დაერქმია 9+1-3. თქვენ და მე მინისტრი არ ვყოფილვართ სააკაშვილის დროს, ხაინდრავა იყო! ხაინდრავა კი თვლის, რომ აქვს მორალური უფლება, ფილმი გადაიღოს იმაზე, თუ რა ცუდი იყო სააკაშვილის რეჟიმი.

# მსჯავრდებულმა შსს-ს წინააღმდეგ პროცესი მოიგო

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მსჯავრდებულ შ.პ.-ისათვის სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული პროგრამიდან, მის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების ბარათის რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტისა (გამოძიების დაწყების ზუსტი დრო, წელი, თვე და რიცხვი) და დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის ზუსტი დროის (წელი, თვე და რიცხვი) ამსახველი დოკუმენტების გადაცემა დაევალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრიდან აცნობეს, აღნიშნული დოკუმენტების მიღებით შ.პ.-ს საშუალება მიეცემა, მიმართოს სასამართლოს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვის მოთხოვნით.

— შსს-ს უარი მოთხოვნილი დოკუმენტის მიღებაზე არსებითად ხელყოფდა შ.პ-სათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას. მითითებული დოკუმენტის გარეშე შ.პ. მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიემართა სასამართლოსათვის განაჩენის გადახედვის მოთხოვნით, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, 2015 წლის 6 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მოქალაქე შ.პ. დამნაშავედ ცნო ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

2015 წლის 8 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებიდან გამომდინარე, შემსუბუქდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნარკოტიკული დანაშაულებისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

— ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული მიზნებისთვის ნებაყოფლობით ჩაბარებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით განაცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების წარმოდგენის თაობაზე და აქტიური ქმედებით ხელს შეუწყობს მის ამოღებას.

2015 წლის ივლისის ბოლოს, მსჯავრდებულმა შ.პ.-მ განცხადებით მიმართა შსს-ს და მოითხოვა ინფორმაცია, ზუსტად რომელ საათზე იქნა საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში დაფიქსირებული და წარმოდგენილი მის საქმეზე გამოძიების დაწყების ბარათი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელიც შ.პ.-ს გადაეცა ბრალდების მხარის მიერ და წარდგენილ იქნა სასამართლოში, არ შეიცავდა ინფორმაციას გამოძიების დაწყების ზუსტ დროსთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის ინტერესს წარმოადგენდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ გამოძიება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც შ.პ.-ს ინიციატივით და თანხმობით მოხდა ნარკოტიკების სამართალდამცავი ორგანოებისათვის ნებაყოფლობით წარმოდგენა.

მიუხედავად მსჯავრდებულ შ.პ.-ს არაერთი თხოვნისა, შსს უარს აცხადებდა ზემოაღნიშნული დოკუმენტებიც მსჯავრდებულისათვის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იყო საჯარო ინფორმაცია და სამინისტროს არ ევალებოდა მისი გადაცემა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, შ.პ.-მ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა, შსს-ს დავალებოდა შ.პ.-ისათვის სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული პროგრამიდან მის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების ბარათის რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტისა (გამოძიების დაწყების ზუსტი დრო, წელი, თვე და რიცხვი) და დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის ზუსტი დროის (წელი, თვე და რიცხვი) ამსახველი დოკუმენტების გადაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 29 ივლისს მსჯავრდებულის სასარჩელო მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

**ინტერპრესნიუსი**

# სოსო მანჯავიძე: „ნარმანიას წინააღმდეგ ბრძოლა სინამდვილეში წინასაარჩევნო პიარია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მოქვეყნდა. მის ავტორიტეტზე უარყოფითად იმოქმედა მისი პარტიის გაერთიანებამ სხვებთან. მიუხედავად ამისა, მას მაინც მაღალ ნდობას უცხადებენ. დღეისათვის ასეთი პასიანსი იკვეთება. ამ მონაცემებით, ეს ძალები ხვდებიან პარლამენტში.

***— ანუ, უმრავლესობა შეიძლება მათ ჩამოაყალიბონ?***

— ამ დასახელებულ სუბიექტებს შორის, ნაციონალების გარდა, არიან სხვებიც, რომლებსაც არ უნდათ ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმარტება. არავინ იცის, როგორ მოიქცევიან ყოფილი ნაციონალები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ გადმოპორტირდნენ და მისი სახელით იყრიან კენჭს. ყოფილი ნაციონალების მიმართ ნდობა დაბალია. ისინი შეიძლება თავის ყოფილ პარტიას შეეკრან. „ქართული ოცნება“ ამ ვითარებაში თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს.

***— როგორ ხსნით მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შერჩევის პრინციპს? რითი ხელმძღვანელობს „ქართული ოცნება“ მათი დასახელებისას?***

— გრძელდება ადრე დაწყებული ტენდენცია. „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ კოალიციის დროიდან არასდროს ყოფილა ერთიანი შეკრული გუნდი. ახლაც არ ჩანს, რომ მმართველ პარტიაში ერთიანობა და საერთო ინტერესები იყოს. პარტია ისევ ეკლექტურია. კანდიდატებად ასახელებენ ყოფილ ნაციონალებსაც, ხალხისათვის მიუღებელ პიროვნებებსაც. პარტიაში არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული გუნდები. მაგალითად, კალაძისა და კვირიკაშვილის.

***— ამ სიტუაციაში „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება ?***

— არჩევნებზე იქნება მეორე ტურები. ეს საპარლამენტო არჩევნები რთულია „ქართული ოცნებისთვის“ . 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება კოლექტორი სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის. ამ არჩევნების შემდეგ ბევრი პარტია ჩაირეცხება.

***— დედაქალაქის პრობლემებსაც შევეხოთ. მერის იმპიჩმენტის პროცედურა გართულებულია. ნარმანიას ოპონენტები გადადგომისკენ მოუწოდებენ..***

— ეს ყველაფერი წინასაარჩევნო პიარია დახვეწილი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამაში ნაცმოძრაობა, მისი არასამთავრობო ორგანიზაციები და რესპუბლიკელები მონაწილეობენ.

***— ხეები ხომ მართლა იჭრება და ეკოლოგიური მდგომარეობა უმძიმესია?***

— ეს აქტუალური თემა კარგადაა გამოყენებული. რა თქმა უნდა, ხის მომჭრელი უვარგისია, მისი დამცველი კი — კარგი. ხეები, რომლებზეც ამხელა ამბავია ატეხილი, მოიჭრა ექსპერტების დასკვნის საფუძველზე. ეს საზოგადოებამ არ იცის. ან საიდან უნდა გაიგოს, როცა საინფორმაციო საშუალებების 90% ამ საარჩევნო დემაგოგიურ პიარს ეთმობა. ამის საწინააღმდეგო ანტიპიარი, ფაქტობრივად, არ არსებობს. საზოგადოება ნებისმიერ ქვეყანაში მოწყვლადია ასეთ საკითხებში. ხალხი ნეგატივში ადვილად ერთვება და სიმართლეს ვერ იგებს ან არ იჯერებს. ნარმანიას აქვს შეცდომები. აღმასრულებელი ხელისუფლება სრულყოფილი არ არის. მერის საქმიანობა გარკვეულწილად კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ ამ შემთხვევაში თბილისის მერს ებრძვიან პარტიები თავიანთი მიზნებისთვის. ბევრი მოქალაქე ამ პროცესებში გაუაზრებლად მონაწილეობს. ამ ადამიანებმა საერთოდ არ იციან, რა ხდება. ისინი გაუგებრობაში არიან მოხვედრილი.

# ვალერი გელბახიანი: „ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ სპექტრს ალაგებს“




## „ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნებაც“ და ნაციონალებიც ნინო ბურჯანაძეს ებრძოდნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნო შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა" ყოფილ დეპუტატ ვალერი გელბახიანს ესაუბრა.**

*— წინასაარჩევნოდ ხშირია პოლიტიკური სუბიექტების გამსხვილების პროცესი. ერთ-ერთი საარჩევნო ბლოკი პაატა ბურჭულაძის გარშემო შეიქმნა. ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმაა.*

— ჯერ არ ვიცით, არის თუ არა ეს ნამდვილად საარჩევნო ბლოკი. გირჩს, ახალ საქართველოსა და ახალ მემარჯვენეებს ჯერ არ გაუუქმებიათ თავიანთი პარტიების რეგისტრაცია ცესკოში. ეს გაერთიანება ბლოკად არ დარეგისტრირებულა. შესაძლოა, სხვებმა ბურჭულაძის პარტიის სახელით მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ეს არ იყოს ბლოკი.

*— ამ გაერთიანებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.*

— ამ გაერთიანებაში არიან პარტიები და პირები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას გამოეყვნენ. ახალი მემარჯვენეები ფორმალურად არ ყოფილან ნაცმოძრაობაში, თუმცა, გარკვეულწილად, კავშირში იყვნენ მასთან. ამიტომ ზოგისთვის ეს ახალი წარმონაქმნი ნაცმოძრაობის სატელიტია. პირადად მე მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ალაგებს პოლიტიკურ სპექტრს და ეს ამის გამოვლინებაა.

*— ანუ იზიარებთ იმ პოზიციას, რომ ბურჭულაძის გარშემო შექმნილი გაერთიანება „ქართული ოცნების“ სატელიტია?*

— ივანიშვილი ალაგებს სიტუაციას. მან შექმნა, მაგალითად, მეჭიაურის პარტია, რომელიც ახლა სხვა სუბიექტებს იერთებს.

*— ადრე გვითხარით, რომ მეჭიაურის პარტია ნინო ბურჯანაძის პარტიის დასასუსტებლად შეიქმნა.*

— ეს ასეა. მეჭიაურმა ხმები უნდა წაართვას ნინო ბურჯანაძეს, ხოლო ბურჭულაძემ — ნაციონალურ მოძრაობას.

*— ამ ჩანაფიქრის შესრულება გამოდის?*

— არსებობს ასეთი გეგმები. გამოვა თუ არა მათი რეალიზაცია, ეს მოვლენებზეც არის დამოკიდებული. საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძე მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა ოფიციალურად მას მესამე ადგილი მიაკუთვნეს. მის წინააღმდეგ იბრძოდნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ადგილობრივ არჩევნებშიც ასე იყო. მიუხედავად ამისა, მისმა სუბიექტმა საარჩევნო ბარიერი გადალახა და 12-%-იანი მხარდაჭერა მიიღო განსაკუთრებული აქტივობის გარეშე. მაშინდელი სოციოლოგიური კვლევები მას ათჯერ და მეტჯერ ნაკლებ რეიტინგს უფიქსირებდნენ. ეს ბრძოლის შედეგი იყო. ბურჯანაძეს აქვს უნარი, აწარმოოს დიალოგი როგორც მოსკოვთან, ისე ვაშინგტონთან. ამიტომ მისი გაძლიერება არც ივანიშვილს უნდოდა და არც — ნაცმოძრაობას. ყველას სურდა მისი ჩაძირვა.

*— ახლა რა ხდება?*

— სიტუაცია ახლაც მსგავსია. შეიცვალა ის, რომ ბურჯანაძესთან მებრძოლ ძალებს საფიქრალი გაუჩინა ახალმა მზარდმა ძალამ — პატრიოტთა ალიანსმა. ადგილობრივი არჩევნები ამ პარტიისთვის პირველი არჩევნები იყო და მაშინ მას კონკურენტად არ აღიქვამდნენ. ახლა სხვა მდგომარეობაა და მასაც დაუწყეს ქიშპი. საგარეჯოს შუალედური არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო თარხან-მოურავმა განაცხადა, აქამდე „ოცნებასთან“ კონსტრუქციული ურთიერთობები გვქონდაო. გამოდის, რომ მარტო ბურჯანაძე ყოფილა ყოველთვის დამოუკიდებელი. ბოლო დროს მას ყველამ ბრძოლა გამოუცხადა.

*— უბლოკო სტატუსის იდეის გამო?*

— ეს თემა ლამის ყველამ გამოიყენა გაერთიანებული დემოკრატების წინააღმდეგ საბრძოლველად. უბედურება ისაა, რომ ამ პოლიტიკოსებს საქართველოს ბედი კი არ აწუხებთ, არამედ ტორტის ნაჭრების დათრევა უნდათ. მათ ავიწყდებათ ქვეყნის ინტერესები, ასევე ის, რომ არსებობს ქართველი ხალხი. მთავარია, რას იზამს საზოგადოება.

*— რას იზამს?*

— ბურჯანაძე აპირებს, კიდევ ჩავიდეს რუსეთში. შესაძლებელია შეხვედრები პირველ პირებთან. მოსალოდნელია, რომ ამ დიალოგს მოჰყვეს კონკრეტული ნაბიჯები ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად, ასევე რუსეთის ბაზრის სრულად გახსნისა და სავიზო რეჟიმის გაუქმებისაკენ. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პერსპექტივა გახდება გადამწყვეტი და წყალგამყოფი. ხალხის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ ესაა. თუ ეს მოხდა, ამის შემდეგ სხვა პოლიტიკური ძალები უკან ჩაიწევენ. ახლავე გაუგებარია, რაზე უნდა ელაპარაკონ რუსეთის წარმომადგენლებს თამაზ მეჭიაური ან მასთან გაერთიანებულები, როცა იქ კონკრეტულ შედეგებს აღწევს ნინო ბურჯანაძე.

*— ბედუკაძეს, ხაჩიშვილს, კვარაცხელიას რა როლები აქვთ ამ პროცესში?*

— ისინიც იმ სცენარში ჯდებიან, რომელზეც თავიდან ვისაუბრე. ყველანი ებრძვიან ბურჯანაძეს. ყველაფერი მიმართულია იქით, რომ თუნდაც რამდენიმე ხმა წაართვან მას და მის პარტიას. სპექტრს ხელოვნურად ალაგებენ.

*— საზოგადოება ახსენეთ. ხალხის დიდი ნაწილი პასიურია.*

— ბოლო მონაცემებით, თითქმის 60%-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. ზოგი არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას. თუ ადამიანები 8 ოქტომბერს სახლებში დარჩნენ, კრება დარჩება მხიარული და მერე სხვას ნუ დააბრალებენ, თუ ხმებს ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გადაინაწილებენ.

თუ ძალები საგარეო ორიენტაციის მიხედვით დალაგდნენ, ამომრჩეველიც გააქტიურდება. ახლა ხალხი დაბნეულია. თუ იქნება მეტი სიმკვეთრე და სინათლე, ამომრჩეველს არჩევანის გაკეთების საშუალება და მოტივაცია ექნება.

## „თუ ძალები საგარეო ორიენტაციის მიხედვით დალაგდნენ, ამომრჩეველი გააქტიურდება“

# „აფხაზებთან მოლაპარაკებას სხვა ხალხი უნდა მართავდეს“

გულიკო ბალაძე



**ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა ოს და აფხაზ მოქალაქეებს შეთავაზება წარუდგინა. მან განაცხადა, რომ მთავრობა აქტიურად მუშაობს შერიგების საგზაო რუკაზე. ამ საკითხში ქართველ საზოგადოებას კონსენსუსის კონსოლიდირება სჭირდება. სავარაუდოდ, ამ საგზაო რუკის პრეზენტაციას უახლოეს მომავალში მოახდენს. ყველა სარგებელი, რომლებსაც ევროპასთან ასოცირებითა და ვიზალიბერალიზაციით, თავისუფალი ვაჭრობით მიიღებს საქართველო, ხელმისაწვდომი იქნება აფხაზი და ოსი მოქალაქეებისა და კომპანიებისთვისაც.**

მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მასზე რომ იყოს დამოკიდებული, მოლაპარაკებათა ფორმატში მონაწილე ადამიანებს შეცვლიდა:

— ვინც ამჟამად მოლაპარაკებებში მონაწილეობს, ომამდე მონაწილეობდა დაძაბულობის ესკალაციაში ხელოვნურად. ესენი არიან ყოლბაია, გვაზავა, რომლებსაც მართავდა და დაძაბულობის ესკალაციას ხელს უწყობდა ლომინაძე.

*— თქვენ გაქვთ რაიმე კონცეფცია, რომელიც შეგიძლიათ, აფხაზებს შესთავაზოთ?*

— ჩვენი კონცეფციაა მოურიგებელთა მორიგების ცდა პრობლემის მყისიერი გადაწყვეტის პრეტენზიის გარეშე. ჩვენ იმაზე კი არ გავამახვილებდით ყურადღებას, ეთნოკონფლიქტის მონაწილეებს რა პოლიტიკური პრობლემები აქვთ, არამედ ამ პრობლემებს გვერდზე გადავდებდით და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე დავამყარებდით პირდაპირ ურთიერთობას აფხაზებთან და ოსებთან.

*— კონფლიქტი აფხაზეთში ეთნოკონფლიქტად მიგაჩნიათ?*

— ეს იყო ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც თავს მოხვეული იყო მესამე მხარის მიერ.

*— საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი არ არის?*

— აფხაზები და ოსები პოლიტიკური მხარეები არ არიან, მაგრამ კონფლიქტის მონაწილე მხარეები არიან. კონფლიქტის მთავარი მხარე რუსეთია. ჩვენი კონცეფცია ემსახურება იმ ცეცხლის ცოტა მაინც განელებას, რომელიც თვით კონფლიქტს თან ახლდა. გალისა და ერგნეთის ფორმატის მოლაპარაკების მონაწილეებსაც შევცვლიდი. ისეთ ადამიანებს დავუსვამდი ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს, რომლებსაც არ შერცხვებათ პირდაპირ აფხაზებისთვის თვალებში შეხედვა (არც აფხაზებს შერცხვებათ).

*— თქვენ თავს მიიჩნევთ ასეთ ადამიანად?*

— ჩემს თავზე ლაპარაკი მიჭირს, მაგრამ არანაირი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ გამაჩნია აფხაზებთან ურთიერთობაში. მაკომპრომეტირებელი ფაქტები არ გამაჩნია.

*— მაკომპრომეტირებელ ფაქტებად რა მიგაჩნიათ?*

— მე ხელოვნურად აფხაზეთში დაძაბულობის ესკალაციაში არ ვმონაწილეობდი, არ მოვითხოვდი სახელმწიფო საბჭოს ჯარების შეყვანას. როცა მრგვალ მაგიდაში ვიყავი, წინააღმდეგი ვიყავი, როცა ჩვენს თანამოქალაქეებს, ერთი მხრივ, აფსუა სეპარატისტებს ეძახდნენ, მეორე მხრივ, როცა საჭირო გახდა, აფხაზების ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. ძალიან გაწონასწორებული და მოზომილი პოზიცია იყო საჭირო, რომელიც არ არის პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებული.

*— თქვენზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული აფხაზეთში, ძებნაც იყო გამოცხადებული.*

— წელიწად-ნახევრის წინ ჩემს ძმას დეპორტაცია რომ გაუკეთეს, სახლში მივიდნენ. პირადად ჩემი და ჩემი ოჯახს შევიწროება ზოგადი ტალღის ნაწილი იყო, თორემ გამორჩეულად, ჩემთან სახლში რომ მოვარდნილიყვნენ, აეწიოკებინათ, არ ყოფილა. მამაჩემს აფხაზმა მღვდელმა აუგო წესი. მამაჩემის გასვენებაზე აფხაზებიც იყვნენ მოსული. მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური ზეწოლა ე.წ. ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე გაძლიერდა, აფხაზეთში მყოფი ჩემი მეგობრებისგან ვიცი, რომ აფხაზეთში ჩემს ოჯახზე გაძლიერდა ზეწოლა.

*— ამას როგორ ახსნით?*

— ვინაიდან მე ფაქტები დავასახელე, როგორ იყოფდნენ ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები და სეპარატისტები ფულს, აქედან ზოგიერთი პირი აფრინეს აფხაზეთში და, რომ არა გვაძაბია და გვაძაბიების ოჯახი, ჩვენ ერთად უფრო მეტ ფულს გავაკეთებდითო.

*— ეს ვინ თქვა?*

— ე.წ. ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააგზავნეს აფხაზებთან მსტოვრები აფხაზეთში. დიდი დრო არ გასულა და რამდენიმე შეიარაღებული პირი გალში ჩემს ოჯახს თავს დაესხა. ჩემი ძმა დილის 7 საათზე ლოგინიდან წამოაგდეს, მოხუცი დედაჩემი და მამიდაჩემი შეაწუხეს.

*— რა გვინდაო, რა თქვეს?*

— მამუკა სად არისო. უპასუხეს, მამუკა თბილისშია, მაგრამ, რა უნდოდათ, ცხადია — მათ ოპერაცია ჩაატარეს. ჩემი ძმა და სხვები დააპატიმრეს და 10 დღე ისხდნენ.

როდესაც ვუსმენ ჩემი ზოგიერთი კოლეგის წინასაარჩევნო განცხადებას, მრცხვენია, იმდენად არაადეკვატურები არიან.

აფხაზეთი საქართველოს სცილდება. თუ ხელისუფლება პოპულიზმზე არ ააგებს თავის პოლიტიკას, ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. როგორც ვიცი, ბევრი აფხაზი გადმოდის აქეთ სამკურნალოდ. რუხში 200-ადგილიანი კლინიკა იხსნება.



## შსს-მ ქობულეთში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1995 წელს დაბადებული ა.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ცივი იარაღით, გულ-მკერდის არეში 1994 წელს დაბადებული ნ.გ. დაჭრა, რომელიც მიყენებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

— ბრალდებულმა ცივი იარაღით სხეულის დაზიანება კიდევ სამ პირს მიაყენა, მათ შორის, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ მირიან ნოღაიდელს.

პოლიციელი იმ დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. იგი შორიახლოს იმყოფებოდა, ხმაური გაიგო და შემთხვევის ადგილზე ვითარების გასარკვევად მივიდა. უიარაღო პატრულ-ინსპექტორი ა.ტ.-ს შეჩერებას შეეცადა, რა დროსაც იგი ხელის არეში დაიჭრა, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

მათივე ცნობით, სამართალდამცველებმა ბრალდებული ქობულეთის რაიონის სოფელ აჭიში შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ქართულ ბაზარზე შესაძლოა კივის დეფიციტი შეიქმნას



– წელს ქართულ ბაზარზე კივის დეფიციტი შეიქმნება და ადგილობრივ პროდუქციას უცხოეთიდან შემოტანილი ჩაანაცვლებს, – აცხადებენ ფერმერები, რომლებსაც კივის ნარგავები ადრე გაზაფხულზე ყინვამ დაუზიანა.

როგორც ზუგდიდის რაიონის მკვიდრმა, ფერმერმა დემურ ფიფიამ გვითხრა, თუ ასე გაგრძელდა, კივის ნარგავებს ყველა ამოძირკვავს და მის ნაცვლად თხილს გააშენებს.

– წელს კივის მოსავალი აღარ გვაქვს: ჯერ ყინვამ დააზიანა, მერე ტენის დიდი რაოდენობა მოვიდა და ბოლოს გვალვაც დაემატა. ამ ყველაფერმა კივის პლანტაციებზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

რაც ასხია, ისიც უხარისხო და ჩამომჭკნარია. მე მაგალითად, შარშან 5 ტონა კივი მოვიწიე, წელს კი 200 კილოგრამიც არ მექნება. სავარაუდოდ, ადგილობრივი წარმოების კივის წელს ირანული ჩაანაცვლებს, რომელიც უკვე გამოჩნდა ქუთაისის ბაზარში.

არ ვიცი, ხელოვნურად არის დამწიფებული, თუ ასე ადრე როგორ მოიწიეს, მაგრამ ხალხი მაინც ყიდულობს, – ამბობს დემურ ფიფია.

ფერმერის თქმით, კივი ძირითადად ირანელებს მოჰყავთ, თურქეთში შედარებით მცირე რაოდენობით მოდის, რადგან ეს კულტურა თურქებმაც ვერ გაახარეს, ამიტომ, იქ, სადაც კივი ჰქონდათ, თხილი დარგეს. „ალბათ, ჩვენთანაც ასე მოხდება", – აცხადებს ფერმერი.

შპს „გემოვანის" დირექტორის მოადგილე, მერაბ ფიფიაც ამბობს, რომ სამეგრელოს რეგიონში კივი უამინდობამ დააზიანა და მოსავალი ყველას ძალიან მცირე რაოდენობით ექნება.

– გაზაფხულის ყინვამ ეს კულტურა ძალიან დააზიანა. შარშან საუკეთესო მოსავალი გვქონდა, წელს კი, მისი 10 პროცენტიც არ გვექნება. თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი როგორ წავა საქმე. არა მარტო ჩვენთან, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში ასეთივე მდგომარეობაა.

ამიტომ წელს ბაზარზე კივი ძალიან ძვირი იქნება. მოსავალს ნოემბრის ბოლოს ვკრეფთ ხოლმე, მაგრამ უკვე ეტყობა, რომ 10 პროცენტიც არ იქნება იმისა, რაც შარშან დაიკრიფა.

ალბათ, ქართულ პროდუქციას უცხოური ჩაანაცვლებს და კივის საწყისი ფასი 4-5ლარი მაინც იქნება, ეს მაშინ, როცა შარშან 1 კგ კივი 50 თეთრად იყიდებოდა, მაქსიმალური ფასი 1 ლარი იყო, – აღნიშნავს მერაბ ფიფია.

აგრონომი აკაკი ღლონტი კი მიიჩნევს, რომ კივის პლანტაციების ამოძირკვა და ამ კულტურაზე უარის თქმა დიდი შეცდომაა.

– ჩვენთან მთავარი პრობლემა გაზაფხულის ყინვებია. როდესაც მცენარე ვეგეტაციის ფაზაში შედის, იქმნება საშიშროება, რომ ტემპერატურა დაეცეს და ყინვამ მოსავალი გაანადგუროს. ამიტომ, ჩვენც უნდა გამოვიყენოთ მეთოდები, რომელსაც მთელ მსოფლიოში იყენებენ. არსებობს ორი მეთოდი, რომელიც კივის (და არა მარტო კივის) პლანტაციებს გაზაფხულის ყინვისგან იცავს: ერთი – წყლისმიერი მეთოდია და მეორე – ქარისმიერი მეთოდი. უკვე არსებობს პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება და სამომავლოდ მთელ საქართველოს მოიცავს.

ამ პროექტში მეც ვარ ჩართული და კარგად ვიცი, რომ ჩვენს ფერმერებს კივის პლანტაციების ყინვისგან დაცვა არ გაუჭირდებათ. საქმე ის არის, რომ ჩვენ გრუნტის წყლებიც გვაქვს და მდინარეებიც.

ამ მიზნით ჭის წყლის გამოყენებაც თავისუფლად შეიძლება: ალბათ, დაკვირვებიხართ, რომ ყინვის დროს წყალი უფრო თბილია. ამიტომ, შეიძლება სარწყავი სისტემის მსგავსი აპარატურის მოწყობა და წყლის მიშვება კივის პლანტაციებზე. წყალი ყინვის ზემოქმედებას გაანეიტრალებს და ნარგავებს დაიცავს.

როგორც ვიცი, ყინვის დროს წყლის ტემპერატურა 12-14 გრადუსი მაინც არის და როდესაც ეს წყალი ბაღს გადაევლება, ყინვის ზემოქმედებას გააბათილებს.

რაც შეეხება ქარისმიერ მეთოდს, ის თბილი ჰაერის გამოყენებას გულისხმობს. ამ დროს ვენტილატორის მსგავსი მოწყობილობა თბილ ჰაერს ქვემოთ მოაქცევს, ხოლო ცივს – ზემოთ, ოღონდ ამისათვის მცირე ზომის სადგურია და ძრავია საჭირო. ქარისმიერ მეთოდს ელექტროენერგიაც სჭირდება, მაგრამ 4-5 ტონა მოსავლის გადასარჩენად ამ ხარჯის გაღება ნამდვილად ღირს.

აკაკი ღლონტის თქმით, ამ მეთოდებს ევროპელებიც წარმატებით იყენებენ, იაპონელებიც და ამერიკელებიც.

– უკვე დადგენილია საცდელი ადგილებიც – ეს მოწყობილობები ჯერ ქობულეთში დამონტაჟდება, მომავალ გაზაფხულზე კი, უკვე ზუგდიდის რაიონში. პროექტზე მე ვმუშაობდი, მისთვის თანხა უკვე გამოყოფილია, უბრალოდ, აპარატურის შეძენაა საჭირო.

ქარისმიერი მეთოდი კარგია იმათთვის, ვისაც უფრო დიდი ბაღები აქვს. ის ვაშლისა და ატმის ბაღებსაც დაიცავს ყინვისგან. წყლისმიერი მეთოდი კი, ნაკლებად ხარჯიანია და უფრო მცირე ფართობებისთვის არის განკუთვნილი.

ამ პროცესს 5-კილოვატიანი მოტორიც ჰყოფნის, თანაც იმით არის მომგებიანი, რომ ზაფხულში სარწყავ სისტემადაც გამოდგება.

ჩემი აზრით, 4-5 ტონა კივის დასაცავად ხარჯის გაღება ნამდვილად ღირს. ამიტომ, ფერმერებს ვურჩევდი, რომ კივის ნარგავები არ ამოძირკვონ.

არ ღირს ამ სასარგებლო კულტურაზე უარის თქმა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ყინვის დროს, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში, შედარებით მეტი მოვლა სჭირდება.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის მერიასთან შიმშილობის აქცია შეწყდა



თბილისის მერიასთან შიმშილობის აქცია შეწყდა. აქციის ორგანიზატორებმა აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მოშიმშილე ელენე მალაშევსკი-ჯაყელი შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „პარტიზანული მებაღეობის" წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტეს, მიუხედავად პროტესტის უკიდურესი ფორმის შეჩერებისა, მათი მოთხოვნები კვლავ უცვლელია და აქციები თბილისის მერიასთან 24-საათიან რეჟიმში გაგრძელდება.

ასევე აქციის მონაწილეები მოითხოვენ, თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნა კარვის განთავსებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მერიის უსაფრთხოების სამსახურმა მომიტინგეებს მერიის წინ კარვის გაშლის ნებართვა არ მისცა.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა მდინარაძე: „ნაციონალური მოძრაობა საკონსტიტუციო სასამართლოს ისე ექცევა, როგორც თავის კერძო შპს-სა თუ კანტორას"



– ნაციონალური მოძრაობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ისე ექცევა, როგორც თავის კერძო შპს-სა თუ კანტორას.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების" წევრმა მამუკა მდინარაძემ განუცხადა, რითაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სამუშაო შეხვედრის ჩაშლის საკითხს გამოეხმაურა.

როგორც მამუკა მდინარაძემ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განმარტა, გიორგი პაპუაშვილმა თვითნებურად გადადო სხდომა, რომელზეც რუსთავი 2-სა და ე.წ. კაბელების საქმის სარჩელების შეცვლის საკითხი უნდა განხილულიყო. აღნიშნულ კონტექსტში მდინარაძე მოსამართლეებს მოუწოდებს, იმოქმედონ კანონისა და მორალის შესაბამისად.

**მამუკა მდინარაძე:**

– ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ექცევა, როგორც თავის კერძო შპს-სა თუ კანტორას, მაგრამ განმარტების გარეშე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სხდომის გადადების ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მას სხვა გამოსავალი აღარ აქვს.

როგორც ჩანს, ის ვარაუდობს, რომ არ გამოვა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მას და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს. შესაბამისად, ჩნდება ორი ვერსია, ერთი – გადის ამ პარტიის ხელმძღვანელებთან კონსულტაციებს, მეორე, ის ცდილობს, რომ ან ზეგავლენა მოახდინოს, ან გადაარწმუნოს მოსამართლეები, რომ მათ მიიღონ სხვაგვარი, არაობიექტური გადაწყვეტილება.

მე მოვუწოდებ თითოეულ მათგანსა და საკონსტიტუციო სასამართლოს რიგ თანამშრომლებს, იმოქმედონ კანონის, მორალის შესაბამისად, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის დაკნინება მსგავსი ქმედებებით არ შეიძლება.

**ინტერპრესნიუსი**

# საკონსტიტუციო სასამართლო „ქართული ოცნების" წინააღმდეგ



საკონსტიტუციო სასამართლო ეკა ბესელიასა და მმართველ პარტიას მცდარი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს.

როგორც სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ეკა ბესელიასა და მმართველი პარტიის სხვა ხელმძღვანელების მიერ მედიით ვრცელდება მცდარი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავს არიდებს მოსამართლეთა აცილების თაობაზე საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობების განხილვას.

– შევახსენებთ ყველა დაინტერესებულ პირს, რომ მიმდინარე წლის 23 აგვისტოს დანიშნული იყო სასამართლოს პლენუმის საორგანიზაციო სხდომა, ხოლო მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხარეების მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტა ხდება მხოლოდ კონკრეტული საქმეების განხილვის ფარგლებში და არა სასამართლოს საორგანიზაციო სხდომებზე.

ამ თვალსაზრისით, ცალკეული პოლიტიკოსების განცხადებები ეფუძნება კანონის არცოდნას ან მიზნად ისახავს სასამართლოსა და ცალკეული მოსამართლეების დისკრედიტაციას.

მოვუწოდებთ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ სასამართლოს შიდა საქმიანობაში ჩარევისგან.

საკონსტიტუციო სასამართლო, პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებლად, მათი ჩარევის გარეშე მიიღებს გადაწყვეტილებას ყველა მიმდინარე საკითხზე. ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის თაობაზე, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით ნარმანიას საკრებულოში ნაჯახით დახვდნენ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

როგორც კუპრაძემ განმარტა, მან საკრებულოს თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა, თუმცა ის დარბაზიდან გააძევეს და ამ დროს მასზე ძალადობა განხორციელდა.

– რასაც ვითხოვ, არის სიტყვის უფლება და მიმართვა დეპუტატებისადმი, რომლებმაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ ქალაქზე და მერზე, რომელიც დაკისრებულ ვალდებულებებს თავს ვერ ართმევს.

მოვითხოვ, თბილისის მერი გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. ის არა მარტო ულირსი მერია, არამედ ულირსი ადამიანიცაა, რომელმაც ვერ შეძლო ბოდიშის მოხდა იმ ადამიანისთვის, რომელთანაც ულირსად მოიქცა. თუმცა, ბოდიში მოუხადა თავის ამომრჩეველს და მისი ყველა მოქმედება მიმართულია პიარაქციებისკენ საარჩევნოდ. ჩვენ ამ ყველაფერში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, პროტესტი გრძელდება, – განაცხადა კუპრაძემ.

„პარტიზანი მებაღეობის" წევრის თქმით, თბილისი მხოლოდ ყაზბეგის გამზირი არაა და დაუშვებელია, რომ კულტურულ ძეგლზე, სოლოლაკში უზარმაზარი შენობები წამოიჭიმოს.

თბილისის მერია დეველოპერების საშვთა ბიუროდ იქცა, რომელიც გასცემს მხოლოდ და მხოლოდ ნებართვებს, ხოლო ინდივიდების ყოველგვარი უფლება უგულებელყოფილია, – განაცხადა ირაკლი კუპრაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მუსლიმურ თემს 15 მეჩეთი გადაეცა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" რელიგიის სააგენტოდან აცნობეს, სხდომას ევანგელურ-პროტესტანტული, საქართველოს მართლმადიდებელი და მუსლიმური თემის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მათივე ცნობით, კომისიამ განიხილა რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ ქონებრივ-ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით შეტანილი წინადადებები.

– ევანგელურ-პროტესტანტული თემის მიერ შემოტანილი ერთი საკითხი დადებითად გადაწყდა, მუსლიმთა თემის თექვსმეტი საკითხიდან თექვსმეტივე დადებითად გადაწყდა (მუსლიმურ თემს გადაეცა 15 მეჩეთი და დაკმაყოფილდა 1 ფინანსური დახმარების მოთხოვნა), ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შუამდგომლობით შემოტანილი 41 საკითხიდან 32 დაკმაყოფილდა, ორი საკითხი გადაიდო, 6 საკითხი აღმოჩნდა ხარვეზით, ხოლო ერთი საკითხი არ დაკმაყოფილდა, – აცხადებენ რელიგიის სააგენტოში.



**ინტერპრესნიუსი**



## მკურნალი მცენარე

**ვარდკაჭაჭა** – ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აერთიანებს 8-10 სახეობას, რომლებიც ველურად იზრდება ყოფილ სსრკ-ის სამხრეთ და შუა ზოლში, თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში, წინა აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში. შეტანილია ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში.

საქართველოში ველურად გვხვდება ვარდკაჭაჭას მხოლოდ ერთი სახეობა – ჩიცჰორიუმ ინტყბუს. მრავალწლოვანი მცენარეა. იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყისპირებსა და ნათესებში. აქვს ცისფერი ან თეთრი ყვავილები, მთავარღერძიანი, გრძელი ფესვი, რომელიც კულტურის ფორმებში ძირხვენად არის სახეცვლილი. ფესვებს იყენებენ ყავის სუროგატად, აგრეთვე სპირტისა და შაქრის (ფრუქტოზის) მისაღებად.

ძირხვენა შეიცავს დაშაქრებულ ნახშირწყლებს , ძირითადად ინულინს, აგრეთვე გლიკოზიდ ინტიბინს. ჩიცჰორიუმ ენდივია ერთ– ან ორწლოვანია. ცნობილია მხოლოდ კულტურაში. დასავლეთ ევროპაში მოჰყავთ სასალათედ. თაფლოვანია.

გამოიყენება ღვიძლის დაავადებისას, სიყვითლისას, როგორც შარდმდენი საშუალება, ელენთის გადიდებისას და ნაღვლის ბუშტში ქვების დაგროვებისას, თირკმლების დაავადებისას. ვარდკაჭაჭა ითვლება კარგ სისხლგამწმენდ და ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელ საშუალებად. ყველაზე უფრო ვარდკაჭაჭა გამოიყენება როგორც მწარე გემოს მისაღები აპეტიტის გამოწვევისა და კუჭისა და ნაწლავების მოქმედების გაუმჯობესებისათვის, გასტრიტების და კოლიტების დროს.

***

**სატაცური** – ჯერ კიდევ უძველეს დროში საბერძნეთში დელიკატესად ითვლებოდა. ეს მცენარე ბევრ ვიტამინსა და მინერალურ მარილებს შეიცავს. დაბალკალორიულია და მდიდარია ცილებით, ნახშირწყლებით, C, P და B ჯგუფის ვიტამინებით, ა პროვიტამინით, კაროტინით, კალციუმით, რკინით, კალიუმით, ფოსფორითა და თუთიით. მის ყლორტებში ბევრი სასარგებლო აზოტოვანი ნივთიერებაა, ხოლო ნივთიერება ასპარაგინი ამ მცენარეს სამკურნალო თვისებას ანიჭებს. სატაცურის ოჯახის 100-ზე მეტი სახეობა არსებობს, აქედან საჭმელად ცოტა გამოდგება. განასხვავებენ მწვანე, თეთრ და იასამნისფერ სატაცურს. კლასიკური – თეთრი უსინათლო პირობებში მოჰყავთ და უნაზესი გემოთი გამოირჩევა. მწვანესა და იასამნისფერს ოდნავ მდოგვის გემო წაჰკრავს.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარ ყლორტებს, ფესვებსა და ნაყოფს სამკურნალო თვისებები აქვს. სატაცური წნევის დაწევას ეხმარება, გულისა და თირკმლების მუშაობას ააქტიურებს. მასში არსებული ფენოლის ნაერთები სისხლძარღვების ელასტიკუროობასა და სიმტკიცეს განაპირობებს.

სატაცურის წვენი ეფექტური შარდმდენი, ანთებისსაწინააღმდეგო და დამამშვიდებელი საშუალებაა. ის ასევე საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, სასიცოცხლო ტონუსსა და პოტენციას ამაღლებს. სატაცური ნატურალური წყაროა ფოლიუმის მჟავის, რომელიც პასუხისმგებელია სისხლის უჯრედების განვითარებაზე.

# ზამთარში ავადმყოფობამ რომ არ შეგაწუხოთ, მიიღეთ ნივრის „აბები“

ქიმიურ სამკურნალო პრეპარატებს ყველაზე დიდ კონკურენციას სიცხის დამწევი და ბაქტერიოციდული თვისებების მქონე ნიორი უწევს.

უპირველეს ყოვლისა, კერძებში ნივრის ჩამატება არ უნდა დაგავიწყდეთ, ეს სასარგებლოცაა და თან საკვებს არაჩვეულებრივ გემოს აძლევს. პროფილაქტიკისთვის კი საკმარისია, ყოველდღიურად 1-2 კბილი ნივრის მიღება. ეს დოზა გაციების საწინააღმდეგო ბევრ წამალს



ცვლის და მათგან განსხვავებით, გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს.

თუ ნივრის სუნი გაშინებთ, შეგიძლიათ რამდენიმე ნაწილად გაჭრათ და აბებივით გადაყლაპოთ. თუ ნივრის ჭამის შემდეგ პირში ლიმონიან წყალს გამოივლებთ, სუნი მყისვე გაქრება.

***

ბოლოკი ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას. კარგია, თუ მას სიფრიფანა ნაჭრებად დაჭრით, შემდეგ მინის ჭურჭელში ჩააწყობთ, თაფლს დაასხამთ და მაცივარში შეინახავთ. ყოველდღიურად 2 სუფრის კოვზი თაფლიანი ბოლოკი მიირთვით და გაციება არასდროს შეგაწუხებთ.

ეს არაჩვეულებრივი გემოს მქონე „კერძი“ აუჩქარებლად უნდა ღეჭოთ და დიდხანს არ გადაყლაპოთ. ბოსტნეულის წვენებიც იმუნიტეტის ასამაღლებელი ეფექტური საშუალებაა. ყოველი დილა მათი მიღებით დაიწყეთ და ზამთარში ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები არ შეგექმნებათ.

***

სამედიცინო კვლევებმა ცხადყო, რომ მოცვი იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებებით გამოირჩევა. თუ თქვენ ზაფხულში მოიმარაგეთ და შეინახეთ ეს ძვირფასი ხილი, ახლა მისი მოხმარების დრო დადგა. ყოველდღიურად მიირთვით 1 სუფრის კოვზი მოცვის მურაბა ან გახეხილი და შაქარმოყრილი, უმი მოცვი.

***

თუ ყელის ტკივილმა შეგაწუხათ, მაშინ 1 ს/კ ძახველს 1 ჭიქა მდუღარე წყალი დაასხით და 40 წუთი გააჩერეთ. ეს ნაყენი ყელში დღეში 4-ჯერ მაინც გამოივლეთ და დალიეთ 1 სუფროს კოვზი, დღეში 3-ჯერ. ამის პარალელურად, ყოველდღიურად 2 ვაშლი უნდა მიირთვათ („ანტონოვკა“ უკეთესია).

კენკროვანი ხილის გამომშრალი ნაყოფით, ფოთლებითა და ყვავილებით დამზადებული ჩაი ვიტამინების უშრეტი წყაროა და გაციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს აძლიერებს.

ორგანიზმის გაკაჟებისა და გრიპის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ფეხების კონტრასტული აბაზანები წარმოადგენს. ეს პროცედურა ყოველღამე უნდა ჩაიტაროთ. ამისათვის აიღეთ ორი ტაშტი: ცხელი (დაახლოებით 40-გრადუსიანი წყლით) და გრილი (არა უმეტეს 30 გრადუსისა) წყლით. რამდენიმე წამით ფეხები ჯერ ცხელ, ხოლო შემდეგ ცივში წყალში ჩადეთ და ეს გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

რაც მთავარია, არ დაიზაროთ სეირნობა. ისეირნეთ ნებისმიერ ამინდში, დარსა თუ ავდარში, ნახევარი საათით მაინც. როგორც კი აცივდება და ტენიანობა მოიმატებს, ნატურალური ბოჭკოს ქსოვილისგან დამზადებულ თეთრეულზე გადადით. ტანსაცმელი, რომელიც უშუალოდ კანს ეხება, სინთეტიკას არ უნდა შეიცავდეს. დაიცავით ეს მარტივი წესები და არანაირი ვირუსი საშიში არ იქნება.



# მიირთვით ბევრი სტაფილო და უზმოზე სვით მისი ახალგამოწურული წვენი

სამკურნალო თვისებებით სტაფილო ნამდვილად გამორჩეული ბოსტნეულია. მედიცინაში მის მთავარ ღირებულებად კაროტინების სიუხვეს მიიჩნევენ. მათ შორისაა ბეტაკაროტინი. ის ორგანიზმში ა ვიტამინად გადაიქცევა, რომელიც ძალიან საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ის სტაფილოში უფრო მეტია, ვიდრე ასკილსა და წითელ წიწაკაში. ა ვიტამინი უზრუნველყოფს მხედველობის ორგანოს ფუნქციონირებას, პასუხს აგებს კანსა და ლორწოვან გარსზე, აძლიერებს ინფექციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და ასე შემდეგ. ამ ვიტამინის უკმარისობისას კი ვითარდება ა ჰიპოვიტამინოზი, რომლის ნიშნებია – მხედველობის გაუარესება, კანის სიმშრალე, ეგზემა, მუწუკები, თმის ცვენა და თმის სიმშრალე, ლორწოვანი გარსის სიმშრალე, იმუნიტეტის დაქვეითება, უძილობა, გადაღლა და ასე შემდეგ. სტაფილოში ბევრია საკვები ბოჭკოები და პექტინები, რომლებიც ხელს უწყობს ნაღველდენას და აწესრიგებს ნაწლავების მიკროფლორას.სტაფილო ასევე მდიდარია რკინით, სპილენძით, მანგანუმით, ფოლიუმის მჟავით.

უზმოზე ერთი ჩაის ჭიქა სტაფილოს წვენის მიღება მოგიხსნით დაღლილობასა და დაძაბულობას მთელი დღის განმავლობაში.



# ტვინის მუშაობის გასააქტიურებლად მცენარეული ნაყენები გამოიყენეთ

ვიტამინების ნაკლებობა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, ამიტომ ადამიანს პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები სიმხნევესაც მიანიჭებს და ტვინის მოქმედებასაც გააუაქტიურებს. ამასთანავე, აგიმაღლებთ ტონუსსაც და თქვენს გუნება-განწყობაზეც დადებითად აისახება.



* ერთ სუფრის კოვზ გვირილის ყვავილს, რომელსაც აფთიაქში შეიძენთ, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი და დადგით ნახევარი საათი. შემდეგ დაუმატეთ შაქარი, ნაღები გემოვნებით და მიირთვით. ეს ნაყენი ადამიანის ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლო, ერთგვარი მკვებავი რამაა. ის ასევე, გამოგისწორებთ ძილის ხარისხს, თუ საღამოს, აბაზანის მიღების შემდეგ დალევთ.

* ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული წყალი. დადგით, დაახლოებით, ხუთი საათის განმავლობაში. ჭამის შემდეგ დალიეთ თაფლთან ან მურაბასთან ერთად.



* ქიშმიში კარგად დანაყეთ და დაასხით ადუღებული წყალი. დადგით ცეცხლზე და ადუღეთ ხუთი წუთით. ნახარში გადმოდგით და დაამატეთ ამავე რაოდენობის ასკილის ნახარში. დალიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში რამდენჯერმე. ეს ნაყენი კარგია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს. სხვათა შორის, ასკილიც და ქიშმიშიც გულის კუნთების გამაგრებას უწყობს ხელს.



* თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთში ასკილის ნაყოფი და შავი მოცხარის კენკრა. ორ სუფრის კოვზ ნარევს დაასხით ორი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით ერთი საათის განმავლობაში თავდახურული, ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ გადაწურეთ და დაატკბეთ შაქრით. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი კარგია გრიპის, გაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს.

* ჭიქის ერთი მეოთხედი მოცვის დაქუცმაცებული ფოთლები ჩაყარეთ ჯამში და დაასხით სამი ჭიქა ცივი წყალი. დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათი. შემდეგ გადმოიღეთ ცეცხლიდან და სვით თბილი ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი პოლივიტამინების საბადოა.

# ხალხური ცოდნა თირკმლების დასახმარებლად

თირკმლები წყვილი ორგანოა, რომელიც სისხლს ფილტრავს, ორგანიზმიდან ზედმეტი წყალი და მასთან ერთად მავნე ნივთიერებები გამოაქვს. მსოფლიოში 500 მილიონზე მეტ ადამიანს თირკმლების სხვადასხვა დაავადება აწუხებს. მათ შორის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებულია – თირკმლებში ქვები. რატომ ჩნდება და რა საშუალებები არსებობს მისი თავიდან ასაცილებლად?

თირკმლებში ქვები ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად წარმოიშვება, სახელდობრ სისხლის წყალ-მარილისა და ქიმიური შემადგენლობის შეცვლის გამო. თუ დაავადებას არ უმკურნალებთ, გაჩნდება ცისტიტის, მწვავე ან ქრონიკული პიელონეფრიტის, თირკმლებში ჩირქოვანი ანთების საფრთხე, რომლის დროსაც გადარჩენის ერთადერთი გზა ორგანოს ამოკვეთაა.

ქრონიკული დაავადებები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (გასტრიტი, კოლიტი, წყლული) და შარდსასქესო სისტემის ორგანოების (პიელონეფრიტი, პროსტატიტი). ასევე ნივთიერებათა ცვლისა და სისხლძარღვოვანი დარღვევები თირკმლებში, ფარისებური ჯირკვლის ფუნქციის მოშლა, ორგანიზმის ხანგრძლივად გაუწყლოება, ვ ვიტამინის ნაკლებობა, ცხელი კლიმატი, შარდის მჟავიანობის მომატებული პროდუქტების (ცხარე, მწარე, მარილიანი) ბოროტად გამოყენება, ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესი, რომელიც ფოსფორ-კალციუმის ცვლას არღვევს.

ტკივილი და სიმძიმის შეგრძნება წელის არეში, გავის ძვლის ოდნავ ზევით და გვერდით. როგორც წესი, ტკივილი იგრძნობა ერთ მხარეს, განსაკუთრებით ძლიერი ფიზიკური დატვირთვის ან სხეულის მდგომარეობის შეცვლის დროს.

ტკივილი მუცლის ქვევით, სასქესო ორ-



განოების მიდამოში, სისხლის შერევა შარდში (ეს მაშინ ხდება, როდესაც ლორწოვან გარსს აზიანებს), ტკივილი მოშარდვის დროს, გახშირებული შარდვა, შარდის გამუქება, შეშუპება, სხეულის ტემპერატურის მომატება.

დაავადება შეიძლება აერიოთ აპენდიციტთან, ქოლეცისტიტთან, პანკრეატიტთან, ამიტომ ზუსტი დიაგნოზი მხოლოდ უროლოგიური გამოკვლევის მონაცემების შემდეგ ისმება. ის მოიცავს სისხლისა და შარდის საერთო ანალიზს, თირკმლების ულტრაბგერით გამოკვლევას, თირკმლების უროგრაფიას ან კომპიუტერულ ტომოგრაფიას.

მკურნალობა დამოკიდებულია ქვის ზომაზე, გართულებების არსებობასა ან არარსებობაზე.

სპეციალური პრეპარატები, ასევე ბალახები (დათვის კენკრა, მინდვრის შვიტა) ხელს უწყობს მცირე ქვების დაშლასა და გამოდევნას. დაშლას მხოლოდ შარდმჟავა მარილები (ურატები) ექვემდებარება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიეტა. მკურნალობის დროს საჭიროა მეტი წვენების, მორსებისა და მინერალური წყლის სმა. მოზრდილი ქვის დამსხვერევა დისტანციური ლითოტრიპსიის მეთოდით ხდება.

***

1. 3 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ არყის გამხმარ ფოთლებს 0,5 ადუღებული წყალი დაასხით, 10 წუთი ადუღეთ, გააჩერეთ და გაწურეთ. დღეში 3-ჯერ ჭამის დროს ჭიქის მეოთხედი დალიეთ. ნახარში თირკმლებში ქვების წარმოქმნას აბრკოლებს, კარგი შარდმდენი საშუალებაა.

2. ბოლოკის წვენს სანახევროდ თაფლი შეურიეთ. დღეში 3-ჯერ ჭამამდე 30 წუთით ადრე თითო ჩაის კოვზი მიიღეთ. გამოიყენება როგორც დამატებითი საშუალება თირკმლებში ქვების მკურნალობის დროს.

ბევრი დარწმუნებულია, რომ თირკმლებში კენჭების გაჩენა შეიძლება გამოიწვიოს მინერალური ან ხისტი წყლის ჭარბად მოხმარებამ. ეს მითია. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი თვითმარეგულირებელი ბიოლოგიური სისტემაა. ამიტომ მაშინაც კი, თუ დღიური მოთხოვნილების სითხეს მხოლოდ მინერალური წყლით დაიკმაყოფილებს, შარდკენჭოვანი დაავადება არ აღმოცენდება. თუმცა მინერალური წყალი, ისევე როგორც ნებისმიერი წამლისმიერი საშუალება, საჭიროა მითითების მიხედვით გამოიყენოთ და მისი დღიური მოხმარება 1 ლიტრს არ უნდა აჭარბებდეს. არც ხისტი წყალი იწვევს ქვების წარმოქმნას. მაგრამ ძლიერი ხისტი წყალი სხვა მიზეზების გამო საზიანოა, ამიტომ გადადუღებული სახით დალიეთ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2016, 27 — 28 აგვისტო, №203


## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

**მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.**
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
**მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.**


# მწერალ ტრუმენ კაპოტეს ფერფლი აუქციონზე გაიყიდება



ამერიკელი მწერლისა და დრამატურგის ტრუმენ კაპოტეს ფერფლი აუქციონზე გაიყიდება. აღნიშნული ლოტის საწყისი ღირებულება 2 ათასი დოლარია.

აუქციონის სახლის ჯულიენის ხელმძღვანელი დარენ ჯულიენი დარწმუნებულია, რომ კაპოტეს ფერფლის გაყიდვა შესაძლოა უპატივცემულობაში ჩაითვალოს.

– მაგრამ ფაქტია, რომ თავად ტრუმენ კაპოტეს ხალხის შოკში ჩაგდება უყვარდა. მას თავის გამოჩენა სურდა და, დარწმუნებული ვარ, ის ახლა ზეციდან გვიყურებს, იცინის და ფიქრობს, მეც ასე გავაკეთებდიო, – აღნიშნა ჯულიენმა.

მწერლის ფერფლი მის მეგობარ ქალს ჯოან კარსონს ეკუთვნოდა და ინახებოდა სახლში, რომელშიც ის 1984 წელს გარდაიცვალა. თავად კარსონი 2015 წელს გარდაიცვალა, ისე, რომ მემკვიდრეები არ დარჩენია. ახლა მთელი მისი ქონება გასაყიდადაა გამოტანილი. აუქციონი 23 სექტემბერს გაიმართება.

# რიოს ყველაზე რომანტიკული ოლიმპიური ობიექტები დასახელდა



ცნობილი გახდა რიო დე ჟანეიროს ყველაზე რომანტიკული ოლიმპიური ობიექტები. ეს ინფორმაცია პორტალმა „რამბლერ, მოგზაურობამ“ ფრანგი ანალიტიკოსების მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით გაავრცელა. ექსპერტებმა შეისწავლეს, თუ რამდენად ხშირად სარგებლობენ გულშემატკივრები ამ პროგრამით ქალაქის მნიშვნელოვან სპორტულ ობიექტებზე, რათა მოწონებული ადამიანის ყურადღება მიიპყრონ.

ყველაზე რომანტიკულ ოლიმპიურ ობიექტად ლაგუნა როდრიგუ-დიფრეტაში დასახელდა, სადაც მიმდინარეობდა შეჯიბრებები აკადემიურ ნიჩბოსნობასა და ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. ლაგუნა აღფრთოვანებას იწვევდა გულშემატკივრებში და 5,3 ათასი მოწონება მიიღო, ასევე – 3,3 ათასი შეტყობინება და 3,8 ათასი გაზიარება.

მეორე ადგილზე „არენა კარიოკა“ გავიდა, სადაც შეჯიბრებები იმართებოდა კალათბურთში, ჭიდაობაში, ძიუდოში, ტაეკვანდოსა და ფარიკაობაში.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა სპორტკომპლექსი „მარაკანაზინიუ“. აქ იმართებოდა შეჯიბრება ფრენბურთში. პირველ ათეულში ასევე შევიდა ოლიმპიური სტადიონი „ენჟენიანი“ (ფეხბურთი და მძლეოსნობა), ოლიმპიური საჩოგბურთო ცენტრი და კომპლექსი „რიოსენტრო“, სადაც სპორტსმენები კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონსა და ძალოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ტოპ-10-ში ასევე შევიდა ოლიმპიური სოფელი, არენა პლაჟის ფრენბურთისთვის, ოლიმპიური ჰოკეის ცენტრი და ახალგაზრდული არენა, ასევე სამბოდრომის ქუჩა, სადაც ტურნირები მძლეოსნობასა და მშვილდოსნობაში ჩატარდა.

# უილიამი და კეიტი საზოგადოებრივ საქმიანობას დაუბრუნდნენ



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია საზოგადოებრივ საქმიანობას დაუბრუნდნენ. უილიამი და კეიტი ლუტონში ჩავიდნენ, რათა ახალგაზრდული ცენტრი მოენახულებინათ, მათ გასაუბრებოდნენ, ვინც ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის სფეროში მოღვაწეობს და ბავშვთა ჰოსპისი დაათვალიერონ.

გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე დეტალურადაა აღწერილი ყოფილი მის მიდლტონის ჩაცმულობა. ამჯერად ჰერცოგინიამ არჩევანი ბენეტის კაბაზე შეაჩერა, რომლის ღირებულება 245 ფუნტს შეადგენს.

უილიამი და კეიტი დიდ ყურადღებას უთმობენ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხებს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ცნობილი გახდა, რომ ისინი პრინც ჰარისთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ასეთი საკითხების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან ბრძოლის კამპანიაში. აღნიშნული აქცია მიზნად ისახავს, ადამიანებს დაეხმაროს, რათა აღარ ეშინოდეთ იმის აღიარების, რომ მათ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**


# რუსეთში სტალინიზმის რეაბილიტაცია სურთ



რუსეთის განათლების ახალმა მინისტრმა ვასილიევამ განაცხადა, რომ რუსეთის ყველა უბედურების სათავე წარსულის ხელაღებით უგულებელყოფაშია. ვასილიევამ ნეგატიურად მოიხსენია „ნეოლენინელები,“ კერძოდ, ჟურნალ „ოგონიოკის“ ყოფილი რედაქტორი ვიტალი კოროტიჩი.

– სწორედ კოროტიჩმა შთაუნერგა ჩვენს ხალხს ყალბი ფასეულობები, ის, რომ თურმე მეორე მსოფლიო ომი იმპერიალისტური იყო და ერთმანეთს ორი ტოტალიტარული სისტემა ებრძოდა, – განაცხადა ვასილიევამ.

რუსი პოლიტოლოგის ილარიონოვის აზრით, ვასილიევას განათლების მინისტრად დანიშვნა სტალინიზმის რეაბილიტაციის დასაწყისია.

– ახლო მომავალში რუსეთში გაიზრდება შოვინიზმის ხარისხი და პოლიციური რეპრესიები, – თქვა ილარიონოვმა.

ლევადა-ცენტრის კვლევებით, რუსეთის მოქალაქეთა 79% დარწმუნებულია, რომ დასავლეთს რუსეთის დაშლა სურს. უმთავრეს მტრად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევენ. რუსების 80%-მა ბარაქ ობამა ყველაზე ვერაგ და საშიშ მტრად დაასახელა. მეორე ადგილი უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ერგო. შემდეგ მოდიან ანგელა მერკელი და რეჯებ ერდოღანი.

რუსების 63% დარწმუნებულია, რომ სტალინის პოლიტიკა უკრაინის მიმართ (მასობრივი წმენდები, გოლოდომორი და ა.შ.) სწორი იყო. შეკითხვაზე, ახლა რომ უკრაინელების მიმართ მსგავსი პოლიტიკა გაატარონ, მხარს თუ დაუჭერდითო, 60%-მა დადებითი პასუხი გასცა.

# რუსეთ-თურქეთის გენშტაბების ხელმძღვანელები ერთმანეთს აღარ შეხვდებიან



თურქეთის არმიის სირიაში შეჭრამ რუსების უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა და თურქების მოქმედება დაგმო. ამის შემდეგ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ რუსეთ-თურქეთის გენშტაბების ხელმძღვანელების შეხვედრა აღარ შედგება.

– ის განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, – თქვა შოიგუმ.

თავად თურქეთში კი ტერაქტები არ წყდება. ქალაქ ჯიარში ტერორისტებმა პოლიციის შენობა ააფეთქეს. დაღუპულია 9 პოლიციელი.

# ბოლივია: აჯანყებულმა მაღაროელებმა შს მინისტრის მოადგილე მოკლეს

ბოლივიაში მეორე კვირაა, მაღაროელთა აქცია გრძელდება. მათ ტრასა გადაკეტეს და ხელისუფლებისგან შრომითი კოდექსის გადასინჯვა მოითხოვეს. მაღაროელებთან მოლაპარაკებაზე ბოლივიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რუდოლფო ილიანესი გაეგზავრა. მაღაროელებმა ის მძევლად აიყვანეს.

– სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებთ, მინისტრის მოადგილეს არ გავათავისუფლებთ, – ასეთი იყო მაღაროელთა ულტიმატუმი.

ხელისუფლებამ ამას ყური არ ათხოვა. მაშინ მაღაროელებმა მოთხოვნა გაამკაცრეს.

– ან ჩვენს პირობებს მიიღებთ, ან მინისტრის მოადგილე მოკვდება! – განაცხადეს მათ.

მთავრობა კვლავაც შეუვალი იყო. მაღაროელებმაც მუქარა შეასრულეს და მინისტრის მოადგილე მოკლეს.



*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ევროპა გახურდა



## სტატისტიკა, ფსონები

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები თანდათან ხურდება. მომავალ უქმეებზე რამდენიმე საინტერესო მატჩია.

**ინგლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.08 ტოტენჰემი-ლივერპული | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 27.08 ჩელსი-ბარნლი | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 27.08 კრ.პალასი-ბორნმუთი | 2.37 | 3.2 | 3.1 |
| 27.08 ევერტონი-სტოკი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 27.08 ლესტერი-სუონსი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 27.08 საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 27.08 უოტფორდი-არსენალი | 4.6 | 3.75 | 1.73 |
| 27.08 ჰალი-მანჩესტერი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 28.08 ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 28.08 სიტი-ვესტ ჰემი | 1.3 | 5.5 | 9.5 |

**ტოტენჰემი-ლივერპული**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-უგო ლორისი

ლივერპული: ***ტრავმ***-დივოკ ორიჯი, ემრე ჯანი, მამადუ სახო, ჯოზეფ გომესი, ლუკას ლეივა

**ჩელსი-ბარნლი**

ჩელსი: ***ტრავმ***-ვილიანი, კურტ ზუმა

ბარნლი: ***ტრავმ***-ეშლი ბარნსი

**კრ.პალასი-ბორნმუთი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სულეი კაიკაი, ბაქარი სახო, ფრეიზერ კემბელი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სტივ კოკი, ემერსონ ჰიდმანი, ტაირონ მინგსი, ჯუნიორ სტანისლასი

**ევერტონი-სტოკი**

ევერტონი: ***ტრავმ***-ტიას ბრაუნინგი, სიმუს კულემანი, მუჰამედ ბესიჩი

სტოკი: ***ტრავმ***-გლენ ჯონსონი, სტივენ აირლანდი, იბრაჰიმ აფელაი, ჰერდან შაქირი

**ლესტერი-სუონსი**

ლესტერი: ***ტრავმ***-ნამპალის მენდი, ჯეფრი შლუპი

სუონსი: ***ტრავმ***-ბორხა

**საუთჰემპტონი-სანდერლენდი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ორიო რომეუ, ფლორინ გარდოსი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ჯონ ოში, ვიტო მანონე, ფაბიო ბორინი, ლამინე კონე, ლი კატერმოლი, იან კირჰოფი, სებასტიან ლარსონი

**უოტფორდი-არსენალი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ისააკ სუკესი, ბრის ჯა ჯეჯე

არსენალი: ***ტრავმ***-აარონ რემზი, პერ მერტეზაკერი, დანი უელბეკი, გაბრიელ პაულისტა

**ჰალი-მანჩესტერი**

ჰალი: ***ტრავმ***-ჯოშ ტაიმონიმოსეს ოდუბაჯო, მაიკლ დაუსონი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-არავინ

**ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯონათან ევანსი

მიდლსბრო: ***ტრავმ***-ვიქტორ ვალდესი, ბერნარდო ესპინოზა

**სიტი-ვესტ ჰემი**

სიტი: ***ტრავმ***-ბაქარი სანია, ილკაი გუნდოგანი, ვინსენტ კომპანი, ლეროი სანე

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ენდი კეროლი, სოფიან ფეგული, ანდრე აიევი, დმიტრი პაია, დიაფრა სახო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 2.მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 3.ჰალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4.ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 5.ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6.მიდლსბრო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ტოტენჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 8.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10.ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 11.ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 12.სუონსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 13.არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 14.უოტფორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15.ლესტერი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16.საუთჰემპტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17.სტოკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 18.სანდერლენდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 20.ბორნმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ესპანეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.08 ოსასუნა-სოსიედადი | 3.0 | 3.0 | 2.5 |
| 27.08 ეიბარი-ვალენსია | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 27.08 რეალი-სელტა | 1.2 | 7.0 | 13.0 |
| 27.08 ლეგანესი-ატლეტიკო | 7.5 | 3.5 | 1.57 |
| 28.08 ალავესი-ხიხონი | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 28.08 ლას პალმასი-გრანადა | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 28.08 ბილბაო-ბარსელონა | 6.0 | 4.33 | 1.5 |
| 28.08 ვილიარეალი-სევილია | 2.5 | 3.3 | 2.8 |

**ოსასუნა-სოსიედადი**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ანტონიო ოტეგი, რობერტო ტორესი

სოსიედადი: ***ტრავმ***-სერხიო კანალესი, იმანოლ აგირეჩე

**ეიბარი-ვალენსია**

ეიბარი: ***ტრავმ***-არავინ

ვალენსია: ***ტრავმ***-ლუიშ ნანი

**რეალი-სელტა**

რეალი: ***ტრავმ***-კრიშტიანუ რონალდუ, პეპე, ქარიმ ბენზემა, კეილორ ნავასი

სელტა: ***ტრავმ***-რუბენ ბლანკო

**ლეგანესი-ატლეტიკო**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ომარ რამოსი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-მიგელ მოია, ალესიო ჩერჩი

**ალავესი-ხიხონი**

ალავესი: ***ტრავმ***-არავინ

ხიხონი: ***ტრავმ***-დანიელ ნდი, რაშიდ აიტ-ატმანე

**ლას პალმასი-გრანადა**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ჰერმანი, ჰელდერ ლოპესი, ხავი კასტელანო

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**ბილბაო-ბარსელონა**

ბილბაო: ***ტრავმ***-კიკე სოლა, აგერ აკეჩე

ბარსელონა: ***ტრავმ***-მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, ხავიერ მასკერანო, ჯერემი მატიე, ანდრეს ინიესტა

**ვილიარეალი-სევილია**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-დანიელე ბონერა, დენის ჩერიშევი, ჯონათან დოს სანტოსი, ხაიმე კოსტა, სედრიკ ბაკამბუ

სევილია: ***ტრავმ***-სერხიო ესკუდერო, მაიკლ კრონ-დელი, ადილ რამი, ბენუა ტრემულანისი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-2 | 3 |
| 2.რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3.სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 6-4 | 3 |
| 4.ლას პალმასი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| 5.დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.ხიხონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ლეგანესი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.გრანადა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.მალაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 14.ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ეიბარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.სელტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 4-6 | 0 |
| 18.ვალენსია | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| 19.სოსიედადი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 20.ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-6 | 0 |

**იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.08 ლაციო-იუვენტუსი | 5.0 | 3.3 | 1.8 |
| 27.08 ნაპოლი-მილანი | 1.61 | 4.0 | 5.5 |
| 28.08 ინტერი-პალერმო | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 28.08 კალიარი-რომა | 4.33 | 3.5 | 1.83 |
| 28.08 ტორინო-ბოლონია | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 28.08 სამპდორია-ატალანტა | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 28.08 კროტონე-ჯენოა | 4.2 | 3.25 | 1.95 |
| 28.08 სასუოლო-პესკარა | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 28.08 ფიორენტინა-კიევო | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 28.08 უდინეზე-ემპოლი | 2.1 | 3.25 | 3.6 |

**ლაციო-იუვენტუსი**

ლაციო: ***ტრავმ***-სენად ლულიჩი, ფელიპე ანდერსონი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, სტეფანო სტურარო

**ნაპოლი-მილანი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ომარ ელ კადური, ემანუელ ჯიაჩერინი, ლორენცო ტონელი

მილანი: ***ტრავმ***-არავინ

**ინტერი-პალერმო**

ინტერი: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი, მარკო ანდრეოლი

პალერმო: ***ტრავმ***-მიკელე მორგანელა

**კალიარი-რომა**

კალიარი: ***ტრავმ***-ჟოაო პედრო, დანიელე დესენა, ფედერიკო მელჩიორი

რომა: ***ტრავმ***-მარიო რუი, ანტონიო რუდიგერი

**ტორინო-ბოლონია**

ტორინო: ***ტრავმ***-მარკო ბენასი, დანილო აველარი, დავიდე ზაპაკოსტა

ბოლონია: ***ტრავმ***-ალექს ფერარი, სერხიო ფლოკარი

**სამპდორია-ატალანტა**

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-ემანუელ სუაგერი

**კროტონე-ჯენოა**

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

ჯენოა: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი

**სასუოლო-პესკარა**

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი, ლორენცო პელეგრინი

პესკარა: ***ტრავმ***-უგო კამპანარო, ფრანჩესკო ნიკასტრო

**ფიორენტინა-კიევო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ბორხა ვალერო

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლა რიგონი, ანტონიო ფლორო ფლორესი

**უდინეზე-ემპოლი**

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 2.ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-3 | 3 |
| 5.მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 6.იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ბოლონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.სასუოლო | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 10.პესკარა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 11.ნაპოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 12.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 3-4 | 0 |
| 13.ტორინო | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 14.ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.კროტონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.ემპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.პალერმო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 19.ინტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 20.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

**საფრანგეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.08 დიჟონი-ლიონი | 4.5 | 3.5 | 1.83 |
| 27.08 ნიცა-ლილი | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 27.08 კაენი-ბასტია | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 27.08 მონპელიე-რენი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 27.08 ნანსი-გენგამი | 2.05 | 3.2 | 3.8 |
| 27.08 მეცი-ანჟე | 2.5 | 3.0 | 3.1 |
| 28.08 ბორდო-ნანტი | 2.05 | 3.3 | 3.75 |
| 28.08 სტ.ეტიენი-ტულუზა | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 28.08 მონაკო-პსჟ | 4.8 | 3.6 | 1.75 |

**დიჟონი-ლიონი**

დიჟონი: ***ტრავმ***-არავინ

ლიონი: ***ტრავმ***-ჯერემი მორელი, კრისტოფერ ჟალე, რაშიდ გეზალი

**ნიცა-ლილი**

ნიცა: ***ტრავმ***-არავინ

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**კაენი-ბასტია**

კაენი: ***ტრავმ***-არავინ

ბასტია: ***ტრავმ***-ტომას ვინსენსინი, ისმაელ დიალო, ფლორიან რასპენტინო

**მონპელიე-რენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

რენი: ***ტრავმ***-არავინ

**ნანსი-გენგამი**

ნანსი: ***ტრავმ***-იუსუფ ჰაჯი, ტობიას ბადილა

გენგამი: ***ტრავმ***-ნიკოლას ბენეზეტი, დორიან ლევო, ეტიენ დიდო

**მეცი-ანჟე**

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

**ბორდო-ნანტი**

ბორდო: ***ტრავმ***-არავინ

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

**სტ.ეტიენი-ტულუზა**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-არავინ

ტულუზა: ***ტრავმ***-არავინ

**მონაკო-პსჟ**

მონაკო: ***ტრავმ***-რადამელ ფალკაო, ვაგნერ ლავი

პსჟ: ***ტრავმ***-ედინსონ კავანი, ტიაგო სილვა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ნიცა | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.ტულუზა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5.გენგამი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.ბასტია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 8.სტ.ეტიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 9.რენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 10.ლილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11.ნანტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 12.კაენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 13.მონპელიე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 14.ბორდო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-6 | 3 |
| 15.მეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 16.მარსელი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17.ანჟე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.დიჟონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19.ლორიანი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| 20.ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დინამომ ისევ წააგო და იარაბეკი გაუშვა

## დედაქალაქელებს ლევან გვანცელაძე გაწვრთნის



პაოკი-დინამო 2:0

1:0 როდრიგესი (5) 2:0 ცაველასი (45)

44-ე წუთზე კამპოსმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

პაოკი: გლიკოსი, მატოსი, კრესპო (ვარელა 76), ცაველასი, ლევაკი (კიციუ 65), შახოვი (ბისესვარი 57), კანაიასი, ჩიმიროტი, კამპოსი, პერეირა, როდრიგესი

დინამო: სკრიბე, ლობჟანიძე, რენე, ამისულაშვილი, შპიჩიჩი, ცინცაძე (ველევი 75), პარუნაშვილი, კიტეიშვილი (ჭანტურიშვილი 62), ალვარო, პაპუნაშვილი, დვალიშვილი (მიქელთაძე 77)

თესალონიკის სტადიონ ტუმბაზე უეფას ევროპა ლიგის ფლეი-ოფის საპასუხო შეხვედრა გაიმართა. პირველი მატჩი თბილისში, რომელიც ერთი კვირის წინ დინამო არენაზე გაიმართა, სტუმართა გუნდის გამარჯვებით, ანგარიშით 3:0 დასრულდა. ამჯერადაც პაოკმა იმარჯვა და ჯგუფში იოლად გავიდა.

მატჩის დებიუტში მე-5 წუთზე მასპინძლებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს და როდრიგესმა გახსნა ანგარიში 1:0. 27-ე წუთზე შახოვმა და დვალიშვილმა გაცვალეს სახიფათო მომენტები. პირველის დარტყმული ზემოდან გადასცდა დინამოელთა კარს, ჩვენი გუნდის შემტევის თავით დარტყმული კი გლიკოსმა მოიგერია.

ბურთის ფლობის უპირატესობა პაოკმა მოიპოვა და თამაშიც შედარებით დაბალ ტემპში გაგრძელდა. პირველი ტაიმის ბოლოს შეხვედრის არბიტრმა თბილისელთა კარში პენალტი დანიშნა. ჯალმა სანტოსის დარტყმული თერთმეტმეტრიანი ანტონი სკრიბემ მოიგერია კუთხურზე, საიდანაც ჩამოწოდებულ ბურთზე კი სკრიბე უხეშად შეცდა და ცაველასმა თავით გადაგზავნა დინამოს კარში – 2:0.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე პაოკის სწრაფი კონტრშეტევა, ჯალმას პასის შემდეგ პერეირა გავიდა სკრიბესთან პირისპირ, მაგრამ დინამოელთა მეკარეს ვერ აჯობა. თბილისელებმა, თავის მხრივ, უპასუხეს შეტევით, მიკელ ალვარი გაიჭრა მეტოქის კარისკენ, ძლიერად დაარტყა, თუმცა მეკარეს ვერც მან აჯობა. საბოლოოდ მატჩში აღარაფერი შეცვლილა და დინამომ 0:2 დათმო შეხვედრა.

თუმცა, პრობლემა ის კი არ არის, რომ დინამო 2 მატჩის ჯამში დამარცხდა, პრობლემა თამაშის ხარისხი და საერთოდ ფეხბურთისადმი არასწორი მიდგომაა. სანამ ასე გაგრძელდება, შედეგი, თუნდაც მინიმალური, სანატრელი გვექნება.

პ.ს. მატჩის შემდეგ დინამოს სლოვაკი მთავარი მწვრთნელი იურაი იარაბეკი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

იარაბეკის ნაცვლად დინამოს მთავარ მწვრთნელად ლევან გვანცელაძე იმუშავებს, რომელიც აქამდე დინამოს 15-წლამდელთა გუნდს წვრთნიდა.

იარაბეკის დინამოდან გათავისუფლების მიზეზი კი წარუმატებელი ევროთასებია. 53 წლის სლოვაკმა დინამო იანვრის ბოლოს, მას შემდეგ ჩაიბარა, რაც გუნდიდან გია გეგუჩაძე წავიდა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 29 აგვისტო

07.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. კაცობრიობის განვითარება" 08.00 ან/ფ "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი. "რაპუნცელი" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. "ᲬᲘᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲝᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ" 12.30 მხ/ფ "ᲓᲘᲐ-ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ" 14.00 ტ/სერ. "ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘ" 15.00 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდენთან ერთად" 16.00 "მოამბე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რამ გაანადგურა ჰინდენბურგი" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 ქართ. ტ/ფ "მედიტაციები" I სერ. 23.00 მხ/ფ "ᲛᲐᲠᲢᲝᲜᲘ ᲡᲘᲠᲔᲗᲔ-ᲚᲔᲑᲘ" 01.00 მხ/ფ "ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲥᲕᲔᲘ-ᲗᲔᲑᲘ"(ჯ.ჯილენჰოლი)

08.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 09.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 09.45 მხ/ფ "ᲛᲐᲙᲐᲠᲢᲣᲠᲘ" 12.00 ტ/სერ "ᲔᲕᲐᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲐᲠᲓᲘ" 13.00 ტ/სერ "ᲠᲔᲜᲢᲝ ᲕᲔᲢᲠᲘᲜᲔ" 14.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ეველი" 18.00 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" "არჩევნები 2016" 22.00, 01.00 ტ/სერ "ᲖᲚᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ" 23.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, რუსულ ენებზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.00 სერ. "ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ" 06.00, 14.40 სერ. "ᲤᲘᲪᲘ" 07.00, 16.00 სერ. "ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ" 08.00 ქ.მხ/ფ "ᲣᲓᲘᲕᲚᲝᲛᲘ ᲡᲐᲚᲘᲙᲝ" 10.00 სერ. "ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 11.20 სერ. "ᲨᲣᲛᲝᲜᲔᲑᲘ" 12.30 სერ. "ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲘ" 17.35, 19.03 სერ. "ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲘ" 20.55 სერ. "ᲔᲚᲘᲤᲘ" 22.00 არჩევნები - 2016 23.00 სერ. "ᲡᲐᲐᲠᲢᲐᲙᲘ"-4" 1 სერ. 00.00 მხ/ფ "ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ" 02.00 მხ/ფ "ᲣᲡᲮᲝᲔᲑᲘ" 03.20 მხ/ფ "ᲙᲝᲛᲐᲔᲘ"

06.00 სერ. "ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ" 06.45 სერ. "ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲐ" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისასაქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "ᲓᲘᲜᲐᲡ-ᲢᲘᲐ" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲔᲕᲓᲐ" 15.55 სერ. "ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐ" 18.45 სერ. "ᲡᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ" 19.45, 20.05 სერ. "ᲨᲔᲜᲘ ᲖᲝᲓᲘᲐᲥᲝᲡ ᲤᲔᲠᲘ" 22.00 არჩევნები - 2016 00.00 სერ. "ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲣᲜᲓᲘᲙᲔᲑᲐ" 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ

8.00 ან/სერ. "ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ" 9.00, 19.30 სერ. "ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ" 10.00, 18.30 სერ. "ᲙᲐᲠᲒᲘ ᲪᲝᲚᲘ" 11.00, 1.15 სერ. "ᲒᲠᲔᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ" 13.00, 3.15 სერ. "ᲫᲕᲚᲔᲑᲘ" 15.00 მხ/ფ "ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ" ნაწ. IV 17.30 სერ. "ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲛᲐ" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 მხ/ფ [illegible] 23.55 სერ. "ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ"

